გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№82 (838) 19-20 აგვისტო, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

# „მაესტროს“ ჩაძირვას ლევან გაჩეჩილაძე ცდილობს?!



**მამუკა ღლონტი:** „არ მინდა, ამ საქმეში ძმები გაჩეჩილაძეები რამენაირად იყვნენ ჩართულნი“

გვ. 3

## უფროსი „გრეჩიხას“ „საიდუმლო სერობა“ რესტორან „იტალიერ გალერეაში“ და ტელეკომპანიის სკანდალის სამი ვერსია



## რა ხდება პანკისის ხეობაში

გვ. 2

## ვინ უწყობს „ოცნებას“ რელიგიურ საბოტაჟს

## „საყდრისის ოქროს საბადოზე მითი ხელოვნურად შექმნეს!“



„ენ ემ ჯის“ მრჩეველი სოსო ცაბაძე ბრალდებებს პასუხობს და კომპანიასთან კობა ნაყოფიას კავშირს კატეგორიულად უარყოფს

გვ. 7



## რატომ არ აქვს „სინიაკები“ ოქრუაშვილისგან ნაცემ მერაბ სამადაშვილს

გვ. 2

## სოსო მანჯავიძე: „ქართული ოცნება“ და ბურჯანაძის პარტია, საბოლოო ჯამში, ერთი გუნდია!“



საქართველოს პატრიოტთა ალიანსი სექტემბრიდან პერმანენტულ საპროტესტო აქციებს იწყებს

გვ. 5

## პროფკავშირების პროექტი ახალგაზრდების აგრარულ სექტორში დასაქმებისთვის!

გვ. 11

## რატომ ჭიანურდება სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძისთვის წართმეული ქონების დაბრუნება



# რა ხდება პანკისის ხეობაში

# ვინ უწყობს „ოცნებას“ რელიგიურ საბოტაჟს

რუსუდან შელია
557-100-768

**16 აგვისტოს, პანკისის ხეობის სოფელ დუისში, ადგილობრივ ქისტებსა და ქართველ ახალგაზრდებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ოფიციალური ინფორმაციით, ინციდენტისას ოთხი ახალგაზრდა დაშავდა, რომლებიც ახმეტის საავადმყოფოში გადაიყვანეს. პანკისში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ითქვა, რომ ინციდენტში ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის, ზურაბ ზვიადაურის ძმა და მისი მეგობრები მონაწილეობდნენ. ამ ვერსიით, ზვიადაურის ძმის მეგობრები ტბათანადან ბრუნდებოდნენ, როცა ეთნიკურ ქისტებთან შელაპარაკება მოუვიდათ, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ამასთან, ითქვა, რომ სპარტაკ ზვიადაური სასტიკადაა ნაცემი. პარალელურად, სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობაში სპეცრაზმი შევიდა, რაც შსს-მ არ დაადასტურა. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს და საქმეზე ჯერჯერობით არავინ დაუკავებიათ. საქმე 239-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ხულიგნობას გულისხმობს. მოგვიანებით, ზურაბ ზვიადაურის სახელით პარლამენტის აპარატმა კონფლიქტში სპარტაკ ზვიადაურისა და მისი მეგობრების მონაწილეობა კატეგორიულად უარყო. „სოფელ მატანის მცხოვრები პატარა ბიჭები ზემოთ ქეიფობდნენ. როდესაც ჩამოიარეს, ისინი ქისტებმა გააჩერეს და სცემეს. შემდეგ მოხდა მათ და ქისტებს შორის დაპირისპირება. ეს არ არის მხოლოდ გუშინდელი ფაქტი, წლების განმავლობაში ასე გრძელდება“, — ნათქვამია ზვიადაურის სახელით გავრცელებულ განცხადებაში. დაპირისპირების დეტალების გასარკვევად „ვერსია“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ პანკისში ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის ვითარება ხელოვნურად იძაბება.**

— როგორც ქისტები აცხადებენ, ზურაბ ზვიადაურის ძმა და მისი ნასვამი მეგობრები პანკისის ხეობის მოსახლეობას მანქანიდან აგინებდნენ. ქართველები ამბობენ, რომ ქისტები ხმამაღალი მუსიკის გამო დაუპირისპირდნენ, სპარტაკ ზვიადაური კი კონფლიქტში მოგვიანებით ჩაერია, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, პანკისშიც, ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის ვითარება ხელოვნურად იძაბება.

**— ეს ვის ინტერესებშია?**

— ამ ადამიანების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ... თუნდაც თეთრიწყაროს მაგალითი განვიხილოთ: გაუგებარია, რატომ უნდა შესრულდეს ხუთშაბათის ლოცვა სწორედ ამ კონკრეტულ სოფელში, თანაც დაუსრულებელ სახლში, სადაც ადამიანები აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდანაც კი ჩადიან? ეს ადამიანები აჟიოტაჟსაც აბსოლუტურად ხელოვნურად ტეხენ. ამ საქმეში ზოგიერთი ადგილობრივი ქრისტიანიც სცოდავს. სამწუხაროდ, ხელისუფლება მხოლოდ პაატა ზაქარეიშვილის აქტიურობით შემოიფარგლება, რაც საქმეს ნამდვილად ვერ უშველის. საერთოდ, მმართველ გუნდში კომპეტენტური ადამიანების დეფიციტია, ამიტომ ვითარების დარეგულირება ძალოვანთა საშუალებით ხდება.

**— საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვითარების განსამუხტად პანკისში სპეცრაზმი შევიდა, რასაც შსს უარყოფს...**

— ჩემი ინფორმაციით, სპეცრაზმი ხეობაში უკვე შეყვანილია, მაგრამ ვითარება სტაბილურია, ამიტომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება. როცა ამ კონკრეტულ კონფლიქტს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ პანკისის ხეობაში წინა ხელისუფლების პოლიტიკა, რაც სამწუხაროდ, დღემდე ნარჩუნდება. წლების განმავლობაში პანკისის ხეობას ძმები ლორთქიფანიძეები აკონტროლებდნენ. სწორედ მათი რეკომენდაციის საფუძველზე, ნაციონალურმა მოძრაობამ შემდეგი მიდგომა შეიმუშავა: თუ ადრე პანკისში უხუცესთა საბჭო ავტორიტეტული ორგანო იყო, წინა ხელისუფლებამ ის აბსოლუტურად დააკნინა და მის ნაცვლად, ახალი ძალა — ვაჰაბიტები ამოატივტივა. სწორედ ამ გაერთიანებამ ჩაიგდო ხელში ხეობის ყველა ბიზნესი, მათ შორის ხე-ტყისა და, სავარაუდოდ, ნარკოტიკების არალეგალური ბიზნესი. სხვათა შორის, ვაჰაბიტების რიგებში საწყის ეტაპზე რამდენიმე ქართველიც გაერთიანდა, დღეს კი, პანკისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვაჰაბიტების წევრია. ვაჰაბიზმი აგრესიული მიმდევრობა არ არის, მაგრამ საკმარისი ძალაა, ხეობაში არაჯანსაღი მდგომარეობა შეიქმნას. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება დღესაც არ იყენებს სპეციალისტებს, რომ ხეობაში შექმნილი მძიმე ვითარება დაბალანსდეს, რასაც იქამდე მივყავართ, რომ ნებისმიერი საყოფაცხოვრებო დაპირისპირება ადვილად გადადის რელიგიურ დაპირისპირებაში. 2001 წელს ნამდვილად იყო შექმნილი ისეთი ვითარება, რომ იარაღს აუცილებლად იარაღი უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ დღეს ამის საჭიროება არ დგას. ვიმეორებ, ყველაფერი გონიერმა ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ ისინი დღეს არავის სჭირდება. მეტიც, დღეს რეგიონებს საკმაოდ არაპროფესიონალი ადამიანები აკონტროლებენ.

კიდევ ერთ ფაქტს მივაქციოთ ყურადღება: ცოტა ხნის წინ, მუსულმანურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულს ნოვრუზ ბაირამს პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა. საპატიო სადილზე მასთან ვაგიფ აქბეროვი დასვეს, რომელიც შიიტური მიმართულების ხელმძღვანელია და ადგილობრივ მოსახლეობაში ავტორიტეტი არ აქვს. მეტიც, სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის, გაუპატიურებისთვისაა ნასამართლევი ანუ ამ ფაქტით ბიძინა ივანიშვილი დანარჩენი მუსულმანების თვალში შეარცხვინეს.

**— ანუ გუნდის შიგნით არსებულ საბოტაჟზე მიანიშნებთ?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი შეგნებულად გაკეთდა პრემიერის ავტორიტეტის დასაკნინებლად. არადა, რელიგიური საკითხები საკმაოდ ფაქიზი თემაა, რასაც განსაკუთრებული ცოდნა, ავტორიტეტი და მიდგომა სჭირდება. ახლა ხელისუფლების ავტორიტეტი ქვეითდება, რაც, საბოლოო ჯამში, მუსულმანთა აგრესიას იწვევს. სწორედ ამითაა განპირობებული 16 აგვისტოს მსგავსი შემთხვევები.





# რატომ არ აქვს „სინიაკები“ ოქრუაშვილისგან ნაცემ მერაბ სამადაშვილს

ნათია აბაშიძე

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრი, ერთ დროს ნაციონალური მოძრაობის სახე და ჯერჯერობით მოქმედი პრეზიდენტის მეგობარყოფილი ირაკლი ოქრუაშვილი მორიგ სკანდალში გაეხვია.

საერთოდ, „ოქროსთვის“ სკანდალები უცხო არაა. ასე, მაგალითად, 2004 წელს, როცა ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მინი-ომის წამოწყება სცადა. მერე, ლამის შს მინისტრი გია ბარამიძე დაიჭირა, მაგრამ „ოფოფებაშლილი“ ოქრუაშვილი აწგანსვენებულმა ზურაბ ჟვანიამ დააშოშმინა. ამას ე.წ. ფეკალიების სკანდალი და იმის დაპირება მოჰყვა, რომ 2007 წლის პირველ იანვარს ქართველები ცხინვალში შევხვდებოდით, მაგრამ ოქრუაშვილის დაპირება დაპირებად დარჩა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გორელი პოლიტიკოსი ჯერ „ვირის აბანოში“ აღმოჩნდა, სადაც აღიარებითი ჩვენება მისცა, ესაო, ისაო, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად, მიშას ჩამოგდებას ვგეგმავდიო. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ოქრუაშვილმა ციხე სოლიდური გირაოს გადახდის სანაცვლოდ დატოვა და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, საქართველოს სამანები, როგორც თავის დროზე ითქვა, ნაციონალების ხელშეწყობით გადალახა...

პარიზში „გადაცხოვრებულ“ „ოქროს“ საფრანგეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა... 2011 წლის 26 მაისის მოვლენების წინ, ოქრუაშვილი დაგვემუქრა, საქართველოში ვბრუნდები და ავლაბრის მოედანზე დამხვდითო, მაგრამ „გაფუფლოვდა“ — არ ჩამოვიდა. სამაგიეროდ, მისი თანამოაზრეები „ზილების რევოლუციის“ მოწყობის საბაბით დააპატიმრეს...

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ოქრუაშვილმა სამშობლოს საზღვარი გადმოკვეთა თუ არა, დააკავეს, თუმცა „კამერაში“ ცოტა ხანი დაჰყო — სასამართლომ გამოუშვა და მას მერე თითქმის ნახევარი წელია აღარავის გახსენებია.

ახლა კი, ოქრუაშვილი ისევ წამოტივტივდა — რამდენიმე დღის წინ, უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, ნიცის აეროპორტში ოქრუაშვილი დააკავესო.

„რაო და, ნახალოვკის მაჟორიტარობის კანდიდატი რო იყო, ნაციანალნი... სამადაშვილი და კოხაბიტაციის წყალობით, გლდანის მერვეს მაგივრად, ნიცაში და კანში რო დაგულაობს... აი, იმას გადააწყდა, თურმე, ოქრუაშვილი ნიცის აეროპორტში... (ირაკლი თავის ნათესავს დახვდა, რომელიც ნიცაში ჩაფრინდა და „ნაგულავებ“-გარუჯული სამადაშვილი კიდო გურჯესტანს მიფრინავდა... ჰოდა, აეროპორტის ჰოლში გადაიკვეთნენ... „ოქრომა“, არც აცია, არც აცხელა და „მეჟდუგლაზი“ ჩაუტარა... ისე უცემია, რო „თურქიშ ეარვეისის“ მთელი წარმომადგენლობა დაეხვია ოქრუაშვილს გასაკავებლად (ისე, სერიოზული ჯანი კი აქვს, ვერაფერს იტყვი)... აქეთ, აეროპორტის პოლიცია მოვარდნილა და ორი საათი „გაკუტუსკებული“ ჰყავდათ „ოქროოაანთიო“... მერე კი, დაუკავებია „ოქროაანთი“ აეროპორტის პოლიციას...“ — დაწერა ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

სხვათა შორის, ამას წინათ ისიც ითქვა, ოქრუაშვილმა თურქეთში დათა ახალაია სცემაო.

რაც შეეხება ე.წ. სამადაშვილის ინციდენტის, როგორც ოქრუაშვილის თანამოაზრე, დეპუტატყოფილი თეო ტლაშაძე ამბობს, „ოქრომ“ ნაძალადევის ყოფილი დეპუტატი 2008 წელს მომხდარი ინციდენტის გამო დაალილავა — მაშინ, ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე სამადაშვილის დაცვის წევრს ოქრუაშვილის დაცვის წევრი დაუჭრია.

ისე, საკითხავია, ოქრუაშვილმა სამადაშვილს ცხვირ-პირი მართლა „გაუერთიანა“ თუ ყველაფერი ოქროს „პიარ-ფანტაზიაა“? „პიარ-ფანტაზიის“ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ მერაბ სამადაშვილს „სინიაკები“ არ აღენიშნება — ყოველ შემთხვევაში, „ვერსიასთან“ დაახლოებულმა ადამიანმა სამადაშვილი 18 აგვისტოს, აეროპორტში მაშინ ნახა, როცა ექსდეპუტატი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ცემის კვალი არ ეტყობოდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავად სამადაშვილი ნიცას ინციდენტზე კომენტარს არ აკეთებს. უფრო სწორად, „გურია ნიუსთან“ საუბრისას ორაზროვნად აცხადებს: „მე არ ვიცი, ეს ოქრუაშვილმა დაადასტურა თუ არა და მინდა, რომ ოქრუაშვილმა დაადასტუროს ეს ფაქტი და გამოთქვას მისი აზრი — ან დაადასტუროს ან უარყოს“.





## ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე ტაქტიკური სწავლება გაიმართა

სწავლებაში I საარტილერიო ბრიგადის 122-მილიმეტრიანი BM-21-ის ბატალიონი და LAR 160-ის ბატარეა მონაწილეობდა.

სამხედრო სწავლებას გაერთიანებული შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და მისი მოადგილე პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი დაესწრნენ.

სწავლება ერთ ეტაპად ჩატარდა და თავდაცვითი ოპერაციების საცეცხლე მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას ისახავს მიზნად. სწავლების დასრულების შემდეგ კი ქვედანაყოფის საბრძოლო მომზადების სტატუსის განსაზღვრა მოხდება.

*„პირველი“*

# „მაესტროს" ჩაძირვას ლევან გაჩეჩილაძე ცდილობს?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„მაესტროს" კრიტიკული დღეები უდგას — არხი ერთ-ერთმა სახემ და 3-პროცენტიანი წილის მფლობელმა თეა სიჭინავამ დატოვა — „არგუმენტების" ყოფილი წამყვანი ახალ გადაცემას „იმედზე" წაიყვანს; ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „იმედი" მოლაპარაკებებს ნინო ჟიჟილაშვილთანაც აწარმოებს. „მაესტროს" ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი კი ირწმუნება, რომ ტელევიზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რედაქცია „გამოცარიელებულია", რადგან „იმედზე" სამუშაოდ პოლიტიკური თოქ-შოუების მთავარი პროდიუსერი და ტექნიკური პერსონალიც გადავიდა.**



## მამუკა ღლონტი: „არ მინდა, ამ საქმეში ძმები გაჩეჩილაძეები რამენაირად იყვნენ ჩართულნი"

## უფროსი „გრეჩიხას" „საიდუმლო სერობა" რესტორან „იტალირ გალერეაში" და ტელეკომპანიის სკანდალის სამი ვერსია

ისე, ღლონტი „მაესტროს" არცთუ მსხვილი მეწილეა — 10 პროცენტს ფლობს. შესაბამისად, თუკი ტელევიზია მართლა იქცევა, მხოლოდ ღლონტი კი არა, სხვა, უფრო მსხვილი მეწილეები, მაგალითად, პატარა „გრეჩიხა" ანუ მომღერალი გია გაჩეჩილაძე („უცნობი") ან, სულაც, მაკა ასათიანი უნდა ყვიროდნენ — ორივე არხის 25-25 პროცენტის მფლობელია. „მაესტროს" სხვა მეწილეებიც ჰყავს, თუმცა მხოლოდ მამუკა ღლონტი აქტიურობს.

რატომ? — ამ კითხვაზე პასუხის რამდენიმე ვერსია არსებობს:

**ვერსია პირველი** — ყველაფერი შესაძლოა, თამაშია ანუ „მაესტროს", ალბათ, „ოცნებისგან" დაფინანსების მიღება უნდა და აჟიოტაჟით ხელისუფლებას აშანტაჟებს.

**ვერსია მეორე** — მამუკა ღლონტი მიანიშნებს, რომ „მაესტროს" მოკვლას „ოცნება" ტელესახეების გადაბირებით ცდილობს. თუკი, მართლაც ასეა, ეს შემაშფოთებელი სიგნალი იქნება, რამეთუ კოალიცია ხელისუფლებაში მოსვლამდე ირწმუნებოდა, რომ მისი მმართველობის დროს მედია პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლდებოდა. ისე, საგულისხმოა, რომ ღლონტის მიერ ატეხილ განგაშს, ჯერჯერობით, არც არასამთავრობო ორგანიზაცია „მედია ადვოკატირებისთვის" გამოხმაურებია და არც, ვთქვათ, ექსპერტი ია ანთაძე. არადა, ღლონტის განცხადებები, მინიმუმ, განსჯის საგანი მაინც უნდა გამხდარიყო.

**ვერსია მესამე** — „მაესტროს" სკანდალი ანუ არხიდან წამყვანი სახეების „იმედში" გადასვლა, შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძემ დაგეგმა. რა შუაშია ლევან გაჩეჩილაძე? — ამის გასარკვევად მოვლენების განვითარებას, მოდით, ქრონოლოგიურად მივყვეთ:

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ძმები გაჩეჩილაძეები პოლიტიკაში აღარ გამოჩენილან — ორივე ძმა ირწმუნება, რომ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა და მედიასთან ურთიერთობაც შეწყვიტა. ბოლოს, „უცნობი" ნანა კაკაბაძისა და ყოფილი პოლიტპატიმრების მიერ ორგანიზებულ 19 მაისის აქციაზე გამოჩნდა, თუმცა გაუგებარი მიზეზის გამო, გია გაჩეჩილაძე, სცენაზე გასვლამდე, კულისებიდან გაქრა... ლევან გაჩეჩილაძე კი ბოლოს 2011 წლის ივლისში ვიხილეთ, როცა ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდებებს ზუსტად ერთწუთიანი კომენტარით უპასუხა და პოლიტაქტიურობა დაასრულა, თუმცა საქმე ისე არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს — ირკვევა, რომ ძმებს არც „მაესტროსადმი" ინტერესი განელებიათ და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც თვალყურს გაფაციცებით ადევნებენ.

ზუსტად ერთი თვის წინ ანუ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე „მაესტროში" ახალი სკანდალი აგორდებოდა, 15 ივლისს, ლევან გაჩეჩილაძემ ორი საინტერესო შეხვედრა გამართა. პირველი — 15:00 „იტალირ გალერეაში", მეორე კი, 19:00 საათზე შედგა. პირველი შეხვედრის უნებლიე მოწმე „ვერსია" გახდა.

მოკლედ, „იტალირ გალერეაში" ნინო ბურჯანაძის პარტიის ექსწევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი ივა ჩიღვინაძე, ლევან გაჩეჩილაძე, რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე და კიდევ ორი მამაკაცი ბჭობდა... სუფრასთან ლევან გაჩეჩილაძის მიერ „დლია ბოდრასტი" შეკვეთილი 300 გრამი არყის გამოჩენის შემდეგ, თანამეინახეებმა საინტერესო თემა „გახსნეს": როგორც გაჩეჩილაძე ირწმუნებოდა, 13 ივლისს პრემიერ-მინისტრის დიდი თხოვნით დაურეკეს და უთხრეს, ბიძინა ივანიშვილი „უცნობისგან" ტელეკომპანია „მაესტროს" წილის საბოლოო გადაფორმებას ითხოვსო.

ბუნებრივია, ყველას ერთი კითხვა გაუჩნდება — „უცნობმა" ხომ ლამის ორი წლის წინ გადააფორმა „მაესტროს" კუთვნილი წილი „მაესტროს" დღევანდელი მფლობელის, ბაჩო კიკაბიძის სახელზე?! „მაესტროში" ორი წლის წინ, კიწმარიშვილ-ღლონტს შორის მომხდარი ცნობილი სკანდალის დროს მეწილეებიც შეიცვალნენ — კოტე გოგელიამ და „უცნობმა" თავიანთი წილი გაყიდეს, „მაესტროს" მეწილეებად კი, მაკა ასათიანი და ბაჩო კიკაბიძე დარჩნენ, თუმცა როგორც „მაესტროს" კულუარებში ჩახედული წყარო ირწმუნება, ეს გადათამაშება მხოლოდ ეროსი კიწმარიშვილის მოსაშორებლად და „მაესტროსთვის" ახალი დამფინანსებლის ანუ ბიძინა ივანიშვილის მოსაზიდად გაკეთდა.

არსებული ინფორმაციით, 2011 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, „უცნობის" წილი თითქოს გაიყიდა, თუმცა ვინაიდან ეროსი კიწმარიშვილმა, დავის გარკვევამდე, „მაესტროს" წილებს სასამართლოს ძალით ყადაღა დაადო, წილი არაფორმალურად ბაჩო კიკაბიძეს გადაეცა. ყადაღის ვადა 2012 წლის დეკემბერში გავიდა და, როგორც ჩანს, პრემიერის ზემოხსენებული ზარი ლევან გაჩეჩილაძესთან იმიტომ გახდა საჭირო, რომ „უცნობმა" დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს და „მაესტროს" წილი, რომლითაც უკვე არაერთხელ ივაჭრა, საბოლოოდ დათმოს...

„იტალირ გალერეაში" გამართულ „საიდუმლო სერობაზე" უფროსი „გრეჩიხა" მეგობრებს ეუბნებოდა: — ხომ იცით, „მაესტროს" სინამდვილეში ისევ „უცნობი" მართავს! დღევანდელ „მაესტროს" პოლიტიკური იარაღობის არაფერი ეტყობა, თუმცა საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების წინ, ერთი „ზედმეტი" ტელევიზია არავის აწყენს, მით უმეტეს, დადის ხმა, რომ ბიძინა ივანიშვილმა უკვე იყიდა „კავკასუს ონლაინი", ტელეკომპანია „მზე" და რატომ არ შეიძლება, ჯაჭვის შემდეგი რგოლი ტელეკომპანია „მაესტრო" იყოს?!

როგორც ამ კონსპირაციული შეხვედრიდან ირკვევა, ივანიშვილი ძმებს პირადად არ ხვდება, ჩვენთან „ლიჩნი" დაძაბულობა აქვს, — ამტკიცებდა ლევან გაჩეჩილაძე, — „უცნობი" კი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას პირადად ითხოვს, რათა თავისი წილის ბედი თავადვე გაარკვიოსო.

„საიდუმლო სერობაზე", რომლის მოწმეც „ვერსია" გახდა, საუბარი ასევე შეეხო 10 მილიონ დოლარსაც და კიდევ 3 მილიონს, რომელიც კოკა გუნცაძის მტკიცებით, ძმებ გაჩეჩილაძეებს არ ეკუთვნის, ვალს კი დაბრუნება უნდა. ამით ფარდა 2 წლის წინ „მაესტროს" გარშემო დაწყებული „ვარსკვლავური ომის" დეტალებს ეხდება. ამ „ომის" ერთ-ერთი პერსონაჟის მონათხრობით, მოვლენათა ქრონოლოგია ასეთია:

ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე, თავის წერილებში ე.წ. ოპოზიციურ არხებს — „მაესტროსა" და „კავკასიას" აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ამ ორ ტელეკომპანიას იყიდის, გააძლიერებს და ცოტა ხანში მფლობელებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად დაუბრუნებს. ამ შეთავაზებას „მაესტრო" ელვის სისწრაფით წამოეგო და თამაშიდან ეროსი კიწმარიშვილის მართვის კომპანიის გაყვანით, დამფინანსებელი შეცვალა — „მაესტრო" ბიძინა ივანიშვილს არაოფიციალურად მიეყიდა. ორ მხარეს შორის გარიგებას კი, თურმე, გია ხუხაშვილი კურირებდა, რომელიც უფროსმა „გრეჩიხამ" არც ზემოხსენებულ სერობაზე დაივიწყა და განაცხადა, რომ მასთან საქმის დაჭერა აღარ სურს, თუმცა უმალ პასუხიც მიიღო, რომ ასეთი „კრუპნი" საქმეები „სამეფო კარზე" ხუხაშვილის გარეშე არ გვარდება.

რაც შეეხება 10 მილიონ დოლარს, ეს „მაესტროს" გასაყიდი ფასია, რაც მას ეროსი კიწმარიშვილმა არხზე მისვლის შემდეგ დაადო — ეს ფასი კიწმარიშვილს საჯაროდაც და „გრეჩიხებთან" კულუარულ საუბარშიც ჰქონდა თურმე დასახელებული. მართალია, ეროსი კიწმარიშვილს „მაესტროსთან" სამართლებრივი დავის მეტი შეხება აღარ აქვს, მაგრამ „მაესტროს" გასაყიდი ფასი სწორედ მის მიერ დასახელებული 10 მილიონია.

მოკლედ, „მაესტრომ" პრემიერის ეპისტოლარული შეთავაზება მიიღო, ხუხაშვილი საქმეში ჩაერთო და მოლაპარაკების წარმოება იკისრა, „გადაგდებული" ეროსი კიწმარიშვილი კი ტელეკომპანიის შენობის მეორე სართულზე გამაგრდა და აივნიდან გაჰყვიროდა, ტელევიზიას არ გავყიდიო. კონტრაქტის თანახმად, რომელიც დამფუძნებლებმა მართვის კომპანიასთან დადეს, კიწმარიშვილმა ე.წ. პირველი უარის უფლება გამოიყენა და კომპანიის გაყიდვაზე უარი განაცხადა, თუმცა მისი გაყიდვის შემთხვევაში, გასაყიდი ფასის 25 % მაინც უნდა მიეღო — სწორედ ეს თანხაა ის 3 მილიონი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძემ კოკა გუნცაძესა და სხვა მეგობრებთან საუბრისას ახსენა.

სასამართლო დავა „მაესტროს" ირგვლივ ჯერ არ დასრულებულა — კიწმარიშვილი აცხადებს, რომ „მაესტროში" 5,5 მილიონი დოლარი ჩადო, რომელიც უკან არ დაუბრუნეს და, პლუს, სოლიდურ კომპენსაციასაც ითხოვს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად...

დავის დეტალებში ჩახედული წყარო „ვერსიას" უყვება, რომ „მაესტროს" ბიძინა ივანიშვილისგან, ყოველთვიური დაფინანსების სახით, 2011 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე, თვეში 500 000-დან 800 000 დოლარამდე შესდიოდა ანუ სულ რაღაც 10 თვეში ივანიშვილმა „მაესტროში" რამდენიმე მილიონი ჩადო და ამგვარად, „უცნობი" თამაშიდან გაიყვანა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ კი, ივანიშვილმა „მაესტროს" 14 მილიონი დოლარი დაახარჯა. ეს სწორედ ის ფულია, რომლის სანაცვლოდაც „გრეჩიხებისგან" პრემიერის სახელით წილის საბოლოოდ გადაფორმებას ითხოვენ, თუმცა, როგორც ჩანს, ძმები პრემიერთან უკვე გადაფორმებული წილით ვაჭრობას ისევ აპირებენ.

ისე, საკითხავია, „იტალირ გალერეაში" „საიდუმლო სერობა" ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნითა და „გაჩინოვნიკებული" კოკა გუნცაძის შუამავლობით გაიმართა თუ პრემიერის ზურგსუკან და „ძმა-ბიჭები" მისთვის ფულის „ახევას" ერთობლივად გეგმავდნენ?!

თუ შეხვედრები პრემიერის ზურგსუკან მიდის, მაშინ არენაზე ივა ჩიღვინაძის გამოჩენა მარტივად აიხსნება: ნინო ბურჯანაძეს „მაესტროს" ყიდვა ჯერ კიდევ 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს უნდოდა, თუმცა მაშინ ეს გარიგება ჩაიშალა, რამაც „უცნობი" გააცოფა, რადგან ფული ვერ აიღო. დღეს კი, ივა ჩიღვინაძის გამოჩენა, შესაძლოა, ძველი თემის გააქტიურებას უკავშირდება, ანუ კულუარული ვერსიით, საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებული ბურჯანაძე „მაესტროთი" ისევ დაინტერესდა და ამ საქმის მოგვარება ყოფილ თანაგუნდელსა და პოლიტპატიმარს დაავალა. ამასთან, ამბობენ, ივა ჩიღვინაძე „უცნობის" ბავშვობის მეგობარია და არაა გამორიცხული, „იტალირ გალერეაში" მისი ყოფნა ივანიშვილისთვის ცრუ გზავნილი იყოს, ბურჯანაძე „მაესტროს" ყიდვას აპირებს და დაასწარიო.

სხვათა შორის, „ვერსია" ამ წერილის გამოქვეყნებას ერთი თვის წინ აპირებდა, თუმცა კოლეგიალობიდან გამომდინარე, თავი შეიკავა. ახლა კი, როცა „მაესტროზე" დიდი „დაგნარია", არხის შესაძლო გაყიდვასა და „იტალირ გალერეაში" გამართულ „საიდუმლო სერობაზე", როგორც იტყვიან, თვალის დახუჭვას აზრი აღარ აქვს, მით უმეტეს, რომ „ვერსიასთან" საუბრისას მამუკა ღლონტი გარკვეულ ბრალდებებს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს უყენებს. ნიშანდობლივია, რომ ვიდრე „ოცნებელი" გახდებოდა, ხადური ნინო ბურჯანაძის პარტიის სახე იყო.

**მამუკა ღლონტი:** — „მაესტროდან" წასულია თეა სიჭინავა და, ასევე, თოქ-შოუების პროდიუსერები და საინფორმაციოს მთავარი რეჟისორი. ამ ადამიანებს ვერ დავწამებ, რომ მხოლოდ მაღალი ხელფასების გამო წავიდნენ. თეა სიჭინავას, ალბათ, ნოსტალგიაც ჰქონდა — ძველი „იმედელია", ნინო ჟიჟილაშვილი კი რჩება „მაესტროში". გარკვეული მცდელობა ხელისუფლების ერთი შტოს მხრიდან მართლაც არის, ოღონდ ეს არ ეხება ბიძინა ივანიშვილს, რომლის მიმართაც, როგორც მოქალაქეს, დიდი ნდობა და სიმპათია მაქვს.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# რა ფარული შეთანხმება არსებობს ზურაბ ხარატიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის




**ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე პარლამენტს განცხადებით 12 აგვისტოს მიმართა. ჯერ ითქვა, რომ ნაციონალებთან შეკრული ხარატიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებას საკუთარი გადადგომით აპირებდა, მერე გაჩნდა აზრი, რომ ხარატიშვილმა წასვლის გადაწყვეტილება თითქოს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისა და მასთან დაძაბული საუბრის შემდეგ მიიღო; ითქვა ისიც, რომ გადადგომის შესახებ განცხადება ხარატიშვილმა აშშ-ში ვიზიტის შემდეგ გააკეთა, სადაც წინასაარჩევნოდ ე.წ. პროამერიკული ორიენტაციის ძალების შემოკრების დავალება მიიღო და ამ მიზნით მოლაპარაკებას პაატა დავითაიას პარტიასთან, ეროვნულ-დემოკრატებთან, ქრისტიან-დემოკრატებსა და ახალ მემარჯვენეებთან აწარმოებდა. სხვათა შორის, ზურაბ ხარატიშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ გარე ძალების ჩარევით შექმნილ ე.წ. მესამე ცენტრს ადგილობრივი არჩევნების სათავეში „ოცნების“ ყველაზე რეიტინგული და პროამერიკული ლიდერი ირაკლი ალასანია ჩაუდგეს.**

**— ბატონო ზურაბ, ეს თქვენი პირველი პოლიტიკური აქტიურობა არაა, ანუ პოლიტიკაში კი არ მოდიხართ, არამედ ბრუნდებით, არა?**

— თუკი ეროვნულ მოძრაობაში ყოფნა და სტუდენტობის დროს გამოჩენილი აქტიურობა ითვლება, მაშინ ასეა — აქტიური ნამდვილად ვიყავი, მაგრამ პოლიტიკაში ჩართული არ ვყოფილვარ და ეს დაბრუნება არ გამოდის, უფრო პოლიტიკაში შემოსვლაა.

**— შუალედური არჩევნების შემდეგ, ექსკლუზიურ ინტერვიუში მითხარით, რომ პოლარიზებულ ქართულ პოლიტსივრცეს ახალი, ე.წ. ცენტრისტული ნიშა სჭირდებოდა. ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიიღეთ?**

— ე.ი. ამის გაკეთება იდეაში მაშინაც მქონია. ახლანდელი გადასახედიდან უკვე ასე ჩანს, არა?! იმას არც ვამბობ, გუშინ გავიღვიძე და არიქა, ეს იდეა მომივიდა-მეთქი. ეს თემა, რა თქმა უნდა, ორი დღის ნაფიქრი არაა. უკვე ისიც ვთქვი, რომ დაახლოებით თვენახევრის წინ პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სხვა პოლიტიკურ ლიდერებს შევხვდი და პოსტის დატოვების შესახებ გავაგებინე. ასე რომ, ეს სიურპრიზი არავისთვის ყოფილა. ლოგიკურად, ცარიელი სივრცე პოლიტიკაში ნამდვილად არის.

**— და თქვენი პრაგმატული გათვლაა, ეს სივრცე შეავსოთ?**

— საქმე მხოლოდ პრაგმატულ გათვლაში არაა, თუმცა რაღაც გათვლაც არსებობს. რეალურად, განვითარების კუთხით, მძიმე მდგომარეობაში ვართ და ძალიან დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები გვაქვს — ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 1 500 დოლარია და ეს მაჩვენებელი თუ, მინიმუმ, არ გავაოთხმაგეთ, დემოკრატიაზე მაინცდამაინც ვერც ვიოცნებებთ. დემოკრატია მშიერ კუჭზე არ არსებობს! ამიტომაა ქვეყანაში ამხელა რყევები და საზოგადოებას რესურსი და ენერგია არ აქვს, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა, სხვა ფასეულობებზეც იფიქროს. თუ ერი ძირითადი ღირებულებების გარშემო არ გაერთიანდა, პოლარიზებულ და მარგინალურ გარემოში წინ ვერ წავიწევთ! ერთმანეთს ცხვირ-პირი კი არ უნდა ვამტვრიოთ და ყველა დავიჭიროთ, არამედ საზოგადოება ერთად უნდა ვაშენოთ და მთავრობამ, პირველ რიგში, საზოგადოებრივ კონსენსუსს უნდა მიაღწიოს.

**— ამ დაქსაქსულ გარემოში ახალ ნიშას მაკონსოლიდირებელ ფაქტორად უნდა მოევლინოთ?**

— ასეთი მესიანისტური იდეები არ მაქვს. უბრალოდ მინდა, კონსოლიდაცია იმ ცენტრისტულ ძალებს შორის მოხდეს, რომლებიც ახლა პოლიტიკურ სარბიელზე, სამწუხაროდ, აღარ ჩანან. თუ განვითარებულ ქვეყნებს შევხედავთ, იქ წამყვანი პოლიტიკური ძალები სწორედ ცენტრისტები არიან. რადიკალებსა და მარგინალებს სერიოზული ნიადაგი არ აქვთ და ეს ჩვენთვისაც მინიშნება უნდა იყოს.

**— ეს მინიშნება ვისგან მოდის და, საერთოდ, თქვენს ამ გადაწყვეტილებასთან აშშ-ში თქვენი ვიზიტი რა კავშირშია?**

— აშშ-ში ჩემი ვიზიტი საქმიანი და სამუშაო იყო — საარჩევნო კომისიაში ჩემს საქმიანობას, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა-დანერგვას ეხებოდა.

**— ამერიკელებს არ უთხარით, რომ პოსტის დატოვებას აპირებდით?**

— კი, საუბარი მქონდა, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე-მეთქი.

**— როგორც ვხვდები, ეს ცენტრი პროდასავლურ-პროამერიკული იქნება, არა?**

— აშშ-ში ძალიან ბევრ საარჩევნო საკითხზე იყო საუბარი, მაგალითად, ერთი ძალიან საინტერესო პროექტია, რომელიც საარჩევნო ხმების უფრო სწრაფად დათვლასა და გარკვეულ სიახლეებთანაა დაკავშირებული და განიხილებოდა საპილოტე დათვლის შესაძლებლობები. რაც შეეხება კარნახს, ასეთი საქმეები ასე პრიმიტიულად არ ხდება. ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის ტვინშია მოვლენები ასე შავ-თეთრად. ამ პოლიტიკური ცენტრის მიმართულებაც სწორად ახსენით: ამ ცენტრის ამოსავალი ევროინტეგრაცია და პროდასავლურთან ქართული ღირებულებების შერწყმა იქნება.

**— დღეს მემარჯვენე-ცენტრისტულ ძალთა ჩამონათვალი ძალიან სუსტია: ახლები, ედპ, ქდმ, პაატა დავითაია... ხომ არ მზადდება ნიადაგი რეალური ლიდერისთვის, მაგალითად, პროამერიკული შეხედულების მქონე ირაკლი ალასანიასთვის, რომლის ოპოზიციაში გადმოსვლაზე საუბარი დიდი ხანია დაწყებულია?**

— ასეთი და, ზოგადად, ლიდერები, ახალ ცენტრს ნამდვილად არ აწყენს.

> **ქართულ პოლიტიკაში წინასწარმეტყველება რთულია, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნების მერე, ნაციონალებს პრეზიდენტად სააკაშვილი, „ოცნებას“ კი პრემიერად ივანიშვილი აღარ ეყოლება. ივანიშვილმა ამის შესახებ რამდენჯერმე განაცხადა და ვფიქრობ, ამის რეალური სურვილიც აქვს. ალბათ, როგორც ყველა პოლიტიკოსი, ისიც ვითარებიდან გამომდინარე იმოქმედებს. კოალიციაში შემავალი ყველა პარტია შეეცდება, ეს აზრი შეაცვლევინოს, რადგან ივანიშვილის გარეშე მათი რეიტინგი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.**

**— ჩანს, თქვენი პოლიტიკური გათვლა მაინც გრძელვადიანია და ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდება...**

— ახლა ვარიანტების ჩამოთვლაცა და ანალიზიც ძნელია. მხოლოდ მკითხაობა შეიძლება. ფაქტი ისაა, რომ ჩემი გადადგომით პრობლემა არ ექმნებათ საარჩევნო სუბიექტებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და რაც მთავარია, ამომრჩეველს. ამან გარკვეული უხერხულობა, შესაძლოა, მხოლოდ წამყვან პოლიტიკურ სუბიექტებს შეუქმნას — მათ ხომ ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმება მოუწევთ.

**— არის შიში, რომ ცესკო, შესაძლოა, პროფესიული ნიშნით მყოფმა წევრებმაც დატოვონ და, გადამწყვეტ მომენტში, კვორუმი არ შედგეს...**

— გამორიცხულია. ერთადერთი და ყველაზე დიდი დისკომფორტი ის იქნება, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ერთმანეთთან მოლაპარაკება მოუწევთ. ზოგიერთი ექსპერტი ამ თემაზე იმდენად არაკომპეტენტურ განცხადებებს აკეთებს, პასეანსი რომ გაშალონ, უფრო ზუსტ და რეალურ ანალიზს დადებენ. ამ სცენარს გამოვრიცხავ, თან ცესკო-ს ადმინისტრაციის განცხადებაც დაიდო ჩემი წასვლის შემდეგ, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ერთადაა და მუშაობს. ზოგიერთი ექსპერტი, უბრალოდ, ყურადღების ცენტრში ყოფნას ცდილობს!

**— ცესკო-ს დე ფაქტო ხელმძღვანელი ამჟამად თქვენი მოადგილე დავით კირთაძეა, რომელიც თურმე, ნაციონალია...**

— ნაციონალი ნამდვილად არაა, უბრალოდ, ჩემი მოადგილე იყო. საერთოდ, როცა თავმჯდომარე თავის ადგილზეა, მოადგილე ისე არ ჩანს ხოლმე. ახლა, უნდათ თუ არა, ახალი თავმჯდომარის არჩევა მოუწევთ, მაგრამ არც ის იქნება პრობლემა, თუ ცესკო-ს თავმჯდომარე არ ეყოლება. სხვათა შორის, ისეთი გახარებულები და გაღიმებული ამბობენ კირთაძეზე, „ვადაგასულიაო“, საინტერესოა, ვისი მიზეზითაა ეს კაცი „ვადაგასული“ — პოლიტიკოსები რომ ვერ შეთანხმდნენ თავის დროზე, იმიტომ, ხომ?! ახლა კირთაძე რომ ადგეს და წავიდეს, განცხადების დაწერაც კი არ დასჭირდება, თუმცა ვიდრე მისი მონაცვლე არ გამოჩნდება, ამ უფლებამოსილებას საკუთარი ნებით ასრულებს. თეორიულად, მოვლენების განვითარების ყველაზე ცუდი ვარიანტიც რომ დავუშვათ, 9 ადამიანი სრულიად საკმარისი იქნება არჩევნების ჩასატარებლად. ახლა ცესკო-ში 12 წევრია დარჩენილი: მათგან 5 პარლამენტის მიერაა დანიშნული, ერთი ნაციონალების წევრია, 6 კი — „ოცნების“.

**— შეგიძლიათ, ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე ვინმეს რეკომენდაცია გაუწიოთ?**

— ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა და ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება.

პოლიტიკური თამაშები

# „მაესტროს“ ჩაძირვას ლევან გაჩეჩილაძე ცდილობს?!

*მე-3 გვერდიდან*

პრობლემა იმ დავალიანებაში მდგომარეობს, რომელიც წინა ხელისუფლებამ „იმედს“, „რუსთავი 2“-ს, „პიკსა“ და სხვა ტელეკომპანიებს აპატია, მაგრამ არ აპატია „კავკასიასა“ და „მაესტროს“. „იმედის“ განზრახვა ნათელი იყო — ჩვენი თოქშოუების გარეშე დატოვება უნდოდა, რადგან გადასვლაზე ერთ წამყვანს და ერთ პროდიუსერს კი არა, ჩვენი თანამშრომლების 80%-ს ესაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა აპატია და მიათვისებინა „იმედს“ დავალიანება, 16 მილიონი, რომლითაც ახლა სატელევიზიო ბაზარზე „ხმალაობს“, ამაზე კი ახალმა ხელისუფლებამ თვალი დახუჭა. '

**— დააკონკრეტეთ, ახალი ხელისუფლებიდან პრეტენზია ვისთან გაქვთ?**

— პრეტენზია მაქვს ნოდარ ხადურთან, რომელიც ამ დავალიანებაზე ხმას არ იღებს. დავუშვათ, ვერაფერს იზამს და დავალიანებას უკან ვერ ამოიღებს, მაგრამ მას შეუძლია შეისწავლოს, კანონიერად მოხდა თუ არა დავალიანების ჩამოწერა და თუ ეს უკანონო იყო, ვინ დაისაჯა. თუ არადა, შეღავათი სხვა მედიასაშუალებებსაც გაუკეთოს.

**— ბატონო მამუკა, საპროტესტო განცხადებებს მხოლოდ თქვენ აკეთებთ, სხვა დამფუძნებლები თქვენს პოზიციას არ იზიარებენ?**

— როგორც წესი, საჯარო განცხადებებს, ძირითადად, მე ვაკეთებ, თან ახლა დანარჩენი დამფუძნებლები საქართველოში არ არიან, ორშაბათს ჩამოვლენ და მოგვიანებით, საერთო განცხადებას გავავრცელებთ.

**— 2 წლის წინ, როცა თქვენსა და კიწმარიშვილს შორის კონფლიქტი დაიწყო, ითქვა, თეა სიჭინავა და ნინო ჟიჟილაშვილი ტელეკომპანიის თანამფლობელები გახდნენ და 3-3%-იანი წილი გადაეცათო, თუმცა ეს რეესტრში არ ასახულა. მათ წილი რეალურად მიიღეს ან „მაესტროდან“ „იმედზე“ გადასული თეა სიჭინავა ამ 3 პროცენტს შეინარჩუნებს?**

— წილი არ შეუნარჩუნდება, რადგან ეს თავიდანვე განსაზღვრული იყო, როგორც საპარტნიორო წილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზიის მოგების რაღაც წილი დივიდენდად გადაერიცხებოდა მანამ, სანამ ამ ტელევიზიაში იმუშავებდა. რაც შეეხება წილის გაფორმებას, რეესტრში ვერ გაფორმდებოდა, რადგან „მაესტროს“ წილები დაყადაღებულია.

**— შეგიძლიათ დაასახელოთ, ვინაა „მაესტროს“ დანგრევით დაინტერესებული და აქვთ თუ არა ყველაფერ ამასთან კავშირი ძმებ გაჩეჩილაძეებს?**

— ფაქტების გარეშე, ალბათ, ვერ ვისაუბრებ. ჩემგან არაკორექტული იქნება, კონკრეტული ფაქტების გარეშე კომენტარის გაკეთება. უბრალოდ, ერთს გეტყვით: ძალიან არ მინდა, ამ საქმეში ძმები გაჩეჩილაძეები რამენაირად იყვნენ ჩართულნი.

**— არც ფარული შეხვედრების შესახებ იცით, სადაც საუბარი უცნობის 25%-იანი წილის კიდევ ერთხელ გასხვისებასა და ამ წილით ვაჭრობაზე მიდიოდა?**

— უცნობი 25%-იან წილს ვერ გაყიდის, რადგან პირვანდელ ხელშეკრულებაში წერია, რომ „უცნობს“ ამ წილის მხოლოდ ძველი დამფუძნებლებისთვის გადაფორმება ანუ დაბრუნება შეუძლია. ეს ხელშეკრულება ძალაში მაშინვე შევა, როგორც კი წილებს ყადაღა მოეხსნება. ხელშეკრულება ოფიციალურად დარეგისტრირებულია და თუ რამე სხვა მოხდება, მაშინ საქმე პირდაპირ სასამართლოში წავა!

# სოსო მანჯავიძე: „ქართული ოცნება“ და ბურჯანაძის პარტია, საბოლოო ჯამში, ერთი გუნდია!“



## საქართველოს პატრიოტთა ალიანსი სექტემბრიდან პერმანენტულ საპროტესტო აქციებს იწყებს

რუსუდან შელია
557-100-768

**კოჰაბიტაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები სექტემბერში გაგრძელდება, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი სოსო მანჯავიძე. მისივე განცხადებით, თუ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად არ გასამართლდება, საზოგადოების ყრუ უკმაყოფილება მალე პიკს მიაღწევს და ხელისუფლებას პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანს. ამასთან, მანჯავიძე არ გამორიცხავს, რომ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლის უმეტესობამ მხარი ნინო ბურჯანაძეს დაუჭიროს:**

— კოჰაბიტაცია ქართული საზოგადოების წინააღმდეგ დანაშაულებრივი შეთქმულებაა — ორი პოლიტიკური ძალა შეთანხმებით მალავს იმ სისტემურ დანაშაულს, რომელსაც წლების განმავლობაში, ერთად ან ცალ-ცალკე, თავად სჩადიოდნენ. საბოლოო ჯამში, ამ პროცესმა ქვეყანა ტყუილის მორევში ჩაითრია, საზოგადოების ყრუ უკმაყოფილებამაც პიკს მიაღწია, რამაც, შესაძლოა, უახლოეს მომავალში პოლიტიკური ფორმა მიიღოს.

**— კოჰაბიტაციის წინააღმდეგ პერმანენტული აქციები უკვე დააანონსეთ, თუმცა პროკურატურასთან გამართულმა რა მოგცათ, გარდა იმისა, რომ არჩილ კბილაშვილს შეხვდით?**

— კოჰაბიტაციის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ პროკურატურაა. ჩვენი ორგანიზაცია არჩილ კბილაშვილს პატივს სცემს და ამიტომ არ გვინდა, ის ბინძურ პოლიტიკურ თამაშში გაისვაროს. უპრიანი იქნება, თუ მთავარი პროკურორი გადადგება, რადგან დანიშნული კარტით თამაში ცუდისმომტანი მისთვისვე იქნება. კბილაშვილმა გვითხრა, რამდენი გოლიც უნდა გაიტანოს პროკურატურამ, მსაჯი სასამართლოა და არ გვითვლის — ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ პროკურატურამ მაქსიმალური გააკეთა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, რასაც ვერ ვეწინააღმდეგებითო. ვუპასუხეთ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თავად ნუ თამაშობ ამ თამაშში-თქო.

**— რომ უთხარით, გადადექიო, კბილაშვილმა რა თქვა?**

— ეს მისი საქმეა, ჩვენი მხრივ კი, გაჩერებას არ ვაპირებთ. მორიგ აქციას პირველ სექტემბერს, კუბლაშვილის წინააღმდეგ გავმართავთ და, საერთოდ, საპროტესტო გამოსვლები მანამ გაგრძელდება, სანამ ეს სამარცხვინო პროცესი არ დასრულდება. ის მაინც გაგვაგებინონ, რა მიზანი აქვს ამ ტყუილის ატმოსფეროს, რომელიც საზოგადოებას ტყვიასავით დააწვა და სუნთქვის საშუალებას აღარ აძლევს?! კბილაშვილს იმაზეც ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ უამრავი უდანაშაულო ადამიანის გასამართლებაში ეჭვმიტანილი პროკურორები დღემდე სამსახურებს ინარჩუნებენ. როგორც ჩანს, ხელისუფლება ფიქრობს, საზოგადოება ლოგიკურად ვერ აზროვნებსო, მაგრამ დავანახებთ, რომ ჩვენ ბევრად მეტი შეგვიძლია. ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გუნდების გარიგებულ თამაშს დიდხანს ველარ ვუყურებთ.

**— ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთთან კოჰაბიტაციას რომ ვერ ახერხებენ, ეს ამერიკულ გემზე გამართულ მიღებაზეც კარგად გამოჩნდა.**

— ოჯახშიც ხშირად კინკლაობენ ხოლმე, ამიტომ ლიდერების აგდებული დიალოგი არაფერს ცვლის. ვინ მისცა მიხეილ სააკაშვილს ოქტომბრამდე პოსტის შენარჩუნების შესაძლებლობა? „ოცნებას“ სააკაშვილის მოშორება სამართლებრივად რომ ნდომებოდა, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება ძალიან მარტივად შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ დამნაშავე, ადამიანების მწამებელი სააკაშვილი ოქტომბრამდე მიეყვანა და ალბათ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ღირსეულადაც გააცილებს.

**— გიორგი მარგველაშვილისგან უკვე მოვისმინეთ, რომ 27 ოქტომბერს ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია დასრულდება. საპრეზიდენტო კანდიდატის პირობა თქვენთვის სიგნალი არ არის?**

— ამ განცხადებას მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა შეკითხვაზე პასუხს მივიღებ — რა ბედი ეწევა მიხეილ სააკაშვილს კოჰაბიტაციის დასრულების შემდეგ?

**— თქვენთვის კოჰაბიტაციის დასრულება სააკაშვილის უპირობო გასამართლებაზე გადის?**

— რა თქმა უნდა, სააკაშვილი, კუბლაშვილთან ერთად, უნდა გასამართლდეს, ნაციონალური მოძრაობა კი აიკრძალოს. ოქტომბრის არჩევნებამდეც ხშირად გვესმოდა, რომ „ქართული ოცნების“ ძირითადი საზრუნავი სამართლიანობის აღდგენა იქნებოდა, მაგრამ რა მივიღეთ? ისიც საინტერესოა, ახლა ვინ უშლის ხელს კოჰაბიტაციის დასრულებას?

> **სანამ ხელისუფლება გონს მოეგება, ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყნიდან სოლიდური ფინანსების გატანა მოახერხა, ახლა ქვეყნის შიგნით საბოტაჟსაც აწყობს და იმასაც ვხედავთ, რომ ეკონომიკური კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით. იმის ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ პროცესებში სიცხადე შეიტანოს და გვითხრას, რას აპირებს, მისი მხრიდან მხოლოდ წამოძახილები გვესმის. სააკაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ ქვეყანაში ისტერიული ვითარება შეიქმნა.**

**— კოჰაბიტაცია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე რა გავლენას მოახდენს?**

— საზოგადოების ნაწილი ბიძინა ივანიშვილზე ნეგატიურ საუბარს ჯერ კიდევ ერიდება, რადგან მის სახელს მასშტაბური ქველმოქმედება და სააკაშვილის ტერორის შეჩერება უკავშირდება. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიმართულ უკმაყოფილების ტალღას ბიძინა ივანიშვილი ირეკლავს, თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილი საზოგადოების უკმაყოფილების შემკრებ ობიექტად იქცა. უკვე შესამჩნევია მის მიმართ დაუსაბუთებელი აგრესია. მეორე მხრივ, საზოგადოების აგრესიის ობიექტად კვლავ რჩება ნაციონალური მოძრაობა ანუ პასუხისმგებლობას ვერც დავით ბაქრაძე გაექცა. სწორედ ამ ორმაგი უკმაყოფილების ფონზე, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი ნიშა გამოთავისუფლდა, რომელსაც ნელ-ნელა ნინო ბურჯანაძე იკავებს.

**— რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წინასწარ გათვლილი სქემის ნაწილია და ნინო ბურჯანაძის წინა პლანზე წამოწევა ივანიშვილის ინტერესებში შედის?**

— რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, „ქართული ოცნება“ და ნინო ბურჯანაძის პარტია ერთი გუნდია, მაგრამ არ მგონია, ბურჯანაძის გამარჯვება ბიძინა ივანიშვილს აწყობდეს. ახლა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ისლა დარჩენიათ, ბურჯანაძის წინააღმდეგ შავი პიარი მთელი დატვირთვით აამოქმედონ. ამაში მათ ნინო ბურჯანაძის წარსულიც შეუწყობს ხელს, რომელიც პოლიტიკური შეცდომებით საკმაოდ მოწყვლადია. სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისიდან ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ ლაფის სროლა დაიწყება. ზოგადად კი, საპრეზიდენტო არჩევნები ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მანკიერი პოლიტიკური სისტემის კრახის დასაწყისი იქნება. უკმაყოფილების ტალღა ამ სისტემას წალეკავს. ვნახოთ, რა პოლიტიკურ სვლებს შემოგვთავაზებს ორივე მხარე. რა თქმა უნდა, პოლიტიკურ გარიგებასაც უნდა ველოდეთ. ცესკო-ში არაფერი შეცვლილა — იგივე სიები გვაქვს, რაც ოქტომბრის არჩევნებამდე გვქონდა და კომისიებშიც იგივე ადამიანები დარჩნენ. კომისიის წევრები, წლების განმავლობაში, „ზემოდან“ კარნახს იმდენად მიეჩვივნენ, რომ დამოუკიდებლად მოქმედება ვერც კი წარმოუდგენიათ. ეს შუალედურ არჩევნებში, თუნდაც ნაძალადევის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა. სამწუხაროდ, არავის აქვს მოქმედების გეგმა, პროცესები მხოლოდ ინერციით მიდის, რაც ხელისუფლებას კრიზისამდე მიიყვანს. პროცესს კი მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალა დააბალანსებს.

**— საკმაოდ ხშირად მიანიშნებთ ახალი პოლიტიკური ძალების გააქტიურებაზე. პატრიოტთა ალიანსის გარდა, პოლიტიკურ ასპარეზზე კიდევ რომელ ახალ ძალას უნდა ველოდეთ?**

— არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე საკმაოდ მყარად გამოვლენ ეროვნული ძალები, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში სტაბილურობის განცდას შემოიტანენ. ჩვენ საკმაოდ თანმიმდევრულად ვმოქმედებთ და გააქტიურებასაც ეტაპობრივად ვგეგმავთ. წინასწარ არ ვისაუბრებ, ყველაფერი არჩევნების შემდეგ გამოჩნდება.



## ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის გამგეობის თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში ამხილეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურის, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ავთანდილ ქველაძე. ამჟამად იგი დაკავებულია.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა ავთანდილ ქველაძემ თურქი ეროვნების ინვესტორს დახმარება აღუთქვა ქ. მარნეულის ცენტრში მდებარე 818 მ2 მიწის ნაკვეთის შეძენაში, ამასთან, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის მოპოვებაში დახმარება შესთავაზა. მან ასევე აღუთქვა, რომ სამსახურებრივ მფარველობას გაუწევდა და მისცემდა საშუალებას, კანონით სავალდებულო ნებართვის და პროექტის დამტკიცებამდე მშენებლობა დაეწყო და შეუფერხებლად ეწარმოებინა. აღნიშნულის სანაცვლოდ, ავთანდილ ქველაძემ ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის 50 000 აშშ დოლარის ნაწილი - 25 000 აშშ დოლარი წინასწარ აიღო.

გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით აწარმოებს, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„ვერსიანიუსი“*



## თემურ შაშიაშვილი ხელისუფლებას უმოქმედებაში ადანაშაულებს

„თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ხელისუფლებას უმოქმედებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ხელსიუფლებამ არ შეასრულა დაპირებების 99%. შაშიაშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ზესტაფონში, სახალხო კრების წარმომადგენლებთან ერთად, ზესტაფონის გადარჩენის შეკრებას დაესწრო, აცხადებს, რომ რაიონებში უმძიმესი ვითარებაა და მოუწოდებს ივანიშვილს, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც დაინტერესდება ამ კუთხით. შაშიაშვილმა განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ზესტაფონზე, ჭიათურასა და ტყიბულზე. „თეთრების“ ლიდერის თქმით, ქვეყნის ეკონომიკური ღერძი უმძიმეს მდგომარეობაშია და მას კვლავინდებურად მაფიის წარმომადგენლები აკონტროლებენ.

შაშიაშვილის განცხადებით, ხალხის მოთხოვნაა, რომ 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მასშტაბით ხალხს ჩააბაროს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მანვე დააყენა იმ მაჟორიტარების გამოწვევის საკითხი, რომელთა საქმიანობით ხალხი უკმაყოფილოა.

**„თუ საქართველოში კანონი მაჟორიტარების გამოწვევის შესახებ არ მოვა მოქმედებაში, სექტემბრიდან დაიწყება ხელმოწერები გამოწვევის მოთხოვნით. მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე წარმოუდგენია. 99%–ზე მეტი დანაპირებისა არ შესრულებულა“,** — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

*„მედიანიუსი“*



## ვარდების მოედანი მთაწმინდის პარკს საბაგიროთი დაუკავშირდება

„კომერსანტის“ ინფორმაციით, ვარდების მოედანი მთაწმინდის პარკს საბაგიროთი დაუკავშირდება. როგორც მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ახალი საბაგიროს მშენებლობა 2013 წელს დაიწყება და სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია „დოპელმაიერი“ განახორციელებს. მათივე განმარტებით, ამ დროისთვის, ავსტრიულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და პროექტისთვის საჭიროს თანხები ზუსტდება, მშენებლობა კი მიმდინარე წელს დაიწყება. ახალ საბაგიროს 21 გონდოლა მოემსახურება და თითოეული მათგანი 8 მგზავრზე იქნება გათვლილი.

მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციის განცხადებით, სავარაუდოდ, ახალი საბაგირო 2014 წლის გაზაფხულზე გაიხსნება და მგზავრები ვარდების მოედნიდან მთაწმინდის პარკში ასვლას 5 წუთში შეძლებენ.

*რადიო „კომერსანტი“*

## ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეამცირა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კიდევ ერთხელ, 25 საბაზისო პუნქტით, 3.75%-მდე შეამცირა. როგორც ეროვნული ბანკის განცხადებაშია აღნიშნული, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ ივლისში გაგრძელდა ფასების შემცირების ტენდენცია და სამომხმარებლო ფასების ინდექსის მთლიანი ინფლაცია 0.2%, ხოლო თვის ინფლაცია — 1.3%-ის დონეზე დაფიქსირდა.

ამასთან, ფასების დინამიკაზე ძირითადი გავლენა მოახდინა ხილისა და ბოსტნეულის სეზონურმა გაიაფებამ. ეროვნული ბანკის არსებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია წლის განმავლობაში დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდება და მიზნობრივ დონეს 2014 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება.

ეროვნული ბანკის წინასწარი შეფასებით, მეორე კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 1.8% შეადგინა, ხოლო შემცირებული საპროცენტო განაკვეთების ფონზე, სესხებზე მოთხოვნა კვლავ მოკრძალებული რჩება. როგორც ეროვნული ბანკის განცხადებაშია აღნიშნული, არსებული პროგნოზებით, ეკონომიკური აქტივობა შედარებით გაუმჯობესდება წლის მეორე ნახევრიდან, მათ შორის, მოსალოდნელი ფისკალური აქტივობის გამო, რაც ხელს შეუწყობს დეფლაციური ზეწოლის შემცირებას:

**„იქიდან გამომდინარე, რომ არსებული პროგნოზებით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი ჩამორჩება მიზნობრივ დონეს, საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს მონეტარული პოლიტიკის შერბილებას და ამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს“,** — ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

ბოლოს, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით 4%-მდე, 19 ივნისს შეამცირა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მომდევნო სხდომა 2013 წლის 25 სექტემბერს გაიმართება.

*რადიო „კომერსანტი“*



## ბორჯომში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 5 000 000 ლარი დაიხარჯება

2013 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 5 000 000-მდე ლარი დაიხარჯება. როგორც რადიო „კომერსანტს“ ბორჯომის გამგეობაში განუცხადეს, ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარზე მეტი უკვე გამოყოფილია, თუმცა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დამატებით 1 200 000 ლარზე მეტს გამოყოფს.

ბორჯომის გამგეობაში აცხადებენ, რომ 1 000 000 ლარზე მეტი, ბორჯომის პარკის რეაბილიტაციას, 340 000 ლარი კი ლიკანის საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას მოხმარდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 1 000 000 ლარზე მეტი გზების, გარეგანათებისა და წყლის სისტემის სამუშაოებზე დაიხარჯება.

*რადიო „კომერსანტი“*

# „ტრაქტორების საქმის“ დღემდე უცნობი სკანდალური დეტალები



## ტრაქტორების საველე ექსპერიმენტი მეცნიერებმა, გამომძიებლებმა და პროკურორებმა ჩაატარეს?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსია“ აგრძელებს ჟურნალისტურ მოკვლევას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალთან დაკავშირებით, რის გამოც 2013 წლის 1 მაისს ვაჟა ნახუცრიშვილი, მამუკა ივანიაძე, ომარ თედორაძე, ბესიკ თეთვაძე, ოთარ ქარჩავა, ზაზა მახარობლიძე, გივი ქაიხოსროშვილი და თეო ურუშაძე დააკავეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკავებული მაღალჩინოსნები და ხანდაზმული პროფესორები, ეტაპობრივად, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, რადგან ექვმიტანილებს მხოლოდ აღკვეთის ღონისძიება შეუცვალეს... ერთ-ერთმა დაკავებულმა, მამუკა ივანიაძემ, გირაოთი გათავისუფლების შემდეგ განაცხადა, რომ პროკურატურამ ჩვენება ზეწოლის შედეგად ჩამოართვა, მოსამართლემ ეს ფაქტი გაითვალისწინა. შესაბამისად, ბრალდების მხარე მამუკა ივანიაძის ჩვენებას მტკიცებულებად ვეღარ გამოიყენებს და, როგორც ადვოკატები აცხადებენ, მას ახალ ჩვენებას ჩამოართმევენ.**

**„ვერსია“ უკვე წერდა, რომ დაკავებულები, განსაკუთრებით კი, ხანდაზმული პროფესორები ციხეში არცთუ სახარბიელო პირობებში იმყოფებოდნენ. ალბათ, ამის გამო, ერთ-ერთ პროფესორს, ომარ თედორაძეს გათავისუფლების შემდეგ გულის შუნტირების ოპერაცია გაუკეთდა. „ტრაქტორების საქმის“ მთავარი სასამართლო განხილვა 21 აგვისტოსაა ჩანიშნული. საქმის დეტალებზე „ვერსიას“ ბრალდებულების ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო სოსო, ამ საქმეში მთავარი ბრალდება სახელმწიფო თანხის, დაახლოებით, 2 000 000 აშშ დოლარის გაფლანგვაა, ამ თემაზე „ვერსიამ“ ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატარა და საქმეში ნამდვილად არ ჩანს, რომ ბრალდებულებმა სახელმწიფოს კუთვნილი თანხა გაფლანგეს... ექსპერტების დასკვნით დადგინდა იმ სასოფლო-სამეურნეო საშუალებების ტექნიკური პარამეტრები, რომლის მიხედვითაც, „ნიუ ჰოლანდის“ თურქული წარმოების 110-ცხენისძალიანი ტრაქტორების ნაცვლად, ჩეხური კომპანია „ზეტორის“ 117-ცხენისძალიანი ტრაქტორები შეირჩა. სადაა აქ სახელმწიფო ფულის გაფლანგვა? ბრალდება აბსურდული ხომ არ არის?**

— 2012 წლის 7 დეკემბერს, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისთვის საჭირო სპეციფიკაციების დამდგენი კომისია შეიქმნა, რომელსაც კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისთვის პარამეტრები უნდა დაედგინა. კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე ხუცაიძე იყო, წევრები კი — შპს „მექანიზატორის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები და მოწვეული მეცნიერები. ბრალდების მხარე გვედავება, კომისიის წევრებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, შემსყიდველ კომისიას ჩეხური კომპანია „ზეტორის“ 117-ცხენისძალიანი ტრაქტორები უნდა შეეძინაო. ეს ბრალდება კი იქიდან გამომდინარეობს, რომ კონსტანტინე ხუცაიძე და „ტექაგროსერვისის“ (ჩეხური კომპანია „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში) თანამშრომელი გივი ქაიხოსროშვილი ახლობლები არიან. თითქოს გივი ქაიხოსროშვილმა სთხოვა ხუცაიძეს, დახმარებოდა, რათა ჩეხური ტექნიკა შეძენილიყო. ამის შემდეგ, თითქოს ხუცაიძემ დაარწმუნა კომისიის ყველა წევრი, მისთვის ანგარიში გაეწიათ და სწორედ ამიტომ დადგინდა, არანაკლებ 115-ცხენისძალიანი ტრაქტორები შეეძინათ; მეტიც, ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც შესყიდვების კომისია შეიქმნა, ხუცაიძემ თითქოს ამ კომისიის წევრებს — ვაჟა ნახუცრიშვილსა და მამუკა ივანიაძეს სთხოვა, „ზეტორის“ მარკის 117-ცხენისძალიანი ტრაქტორები შეეძინათ, რაც სიცრუეა. შესაბამისად, ბრალდება ასკვნის, რომ ამ ადამიანებმა ფული გაფლანგეს, ხუცაიძემ კი სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა. არადა, სპეციფიკაციების კომისიამ კონკრეტული ტიპის ტრაქტორების შეძენა კი არ დაადგინა, მხოლოდ პარამეტრები განსაზღვრა. გარდა ამისა, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ქაიხოსროშვილმა დახმარებისთვის მიმართა ხუცაიძეს, ამ უკანასკნელმა კი ვინმეზე ზეგავლენა მოახდინა! პირიქით, მეცნიერები ადასტურებენ, რომ საქართველოში არსებული მიწის ნიადაგიდან გამომდინარე, არანაკლებ 115-ცხენისძალიანი ტრაქტორები უნდა შეძენილიყო. აბსურდია, რომ ხუცაიძემ შესყიდვების კომისიაში ნახუცრიშვილი და ივანიაძე ჩართო მაშინ, როცა შესყიდვების საკითხს, კანონის სრული დაცვით, სულ სხვა პირები წყვეტდნენ. უფრო მეტ დარღვევებთან მივდივართ, როდესაც ბრალდების მხარემ დაზარალებულად სახელმწიფო სცნო, რადგან დაზარალებულად ცნობის დადგენილების მონაცემები და ბრალდების დადგენილება ერთმანეთსაა აცდენილი: დაზარალებულად ცნობის დადგენილებაში წერია, რომ საერთო ზარალი 1 055 000 ევროა, ხვნის პროგრამისთვის კი შეიძინეს „ზეტორის“ 117-ცხენისძალიანი და გერმანული „კლასის“ 110-ცხენისძალიანი 50 ერთეული ტრაქტორი. დადგენილების მიხედვით, ზიანი გამომდინარეობს „ზეტორისა“ და „კლასის“ მარკის ტრაქტორების შეძენის გამო, არადა ბრალდების დადგენილებაში გერმანული „კლასი“ საერთოდ არაა ნახსენები. 110-ცხენისძალიანი ტრაქტორების ფასი ბრალდებას პირდაპირ უნდა გამოაკლდეს, რადგან ეს უხეში შეცდომაა.

რაც შეეხება შეკითხვას, იზარალა თუ არა სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, ფორმალური თვალსაზრისით, აქ სახელმწიფო ჩართული არ უნდა იყოს. სახელმწიფომ კუთვნილი თანხა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში გადარიცხა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და რომელმაც შპს „მექანიზატორი“ დააფუძნა. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან კი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შპს „მექანიზატორში“ გადაირიცხა და ამავე შპს-ს საწესდებო კაპიტალში აისახა. აქედან გამომდინარე, მართალია, ეს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხაა, მაგრამ უკვე „მექანიზატორის“ საკუთრებაა და თუ ვინმემ განიცადა ზარალი, რა თქმა უნდა, „მექანიზატორმა“ და არა სახელმწიფომ! ისიც კურიოზია, რომ ბრალდების ყურადღება გადატანილია „ზეტორ პროქსიმა პაუერის“ 117-ცხენისძალიან ტრაქტორებზე, რაც თითქოს არასწორად შეიძინეს, მაგრამ არაფერია ნათქვამი „ზეტორ ფონტერა 130“-ზე, ამ მარკის 100 ერთეული ტრაქტორიც დაამატეს ამავე პროგრამაში. თუ ზარალზე ვსაუბრობთ, მაშინ „ზეტორ ფონტერა 130“ მარკის ტრაქტორებიც ხომ არასწორად უნდა შეეძინათ? ამიტომ გაუგებარია, საიდან დათვალა ბრალდების მხარემ ზარალი? ყველაფერი ეს იმას ადასტურებს, რომ საქმე სრულიად მიკერძოებულ, არაკომპეტენტურ და სუბიექტურ გამოძიებასთან გვაქვს.

**— ბრალდებული მაღალჩინოსნები და მეცნიერები დაადანაშაულეს, მაღალი ხარისხისა და შედარებით ძვირადღირებული ჩეხური ტრაქტორები რატომ შეიძინეთ მაშინ, როცა თურქული წარმოების, ნაკლები სიმძლავრისა და შედარებით იაფი ტრაქტორების შეძენა შეიძლებოდაო... აღსანიშნავია, რომ საველე პირობებში ექსპერიმენტი არ ჩატარებულა — ტრაქტორი მინდორში უნდა გამოიცადოს და ამის გარეშე როგორ შეიძლება მტკიცება, რომელი უკეთესია — ჩეხური თუ თურქული?**

— უამრავი დასკვნა მივიღეთ, ჩეხეთიდან, გერმანიიდან, მოლდოვადან, სადაც წერია, რომ ჩეხური „ზეტორისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ თურქული წარმოების ტრაქტორების შედარება არც შეიძლება, რადგან ჩეხური კომპანია გაცილებით მაღალი ხარისხის ტრაქტორებს აწარმოებს.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# „საყდრისის ოქროს საბადოზე მითი ხელოვნურად შექმნეს!“

ნინო ლანაძე
593-51-52-04

**კულტურის სამინისტრომ ბოლნისის რაიონის სოფელ საყდრისში მდებარე „საყდრისი-ყარაჩიანის არქეოლოგიურ ობიექტს“ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მოუხსნა. კულტურის მინისტრის ამ გადაწყვეტილებას „ერ ემ ჯი გოლდის“ წარმომადგენლები დადებითად აფასებენ. სწორედ ეს კომპანია ფლობს იმ ტერიტორიას, სადაც საყდრისი მდებარეობს, ოქროს მოპოვების ლიცენზიაც „ერ ემ ჯის“ აქვს. საერთოდ, ბოლნისის რაიონში ოქროს მოპოვებაზე ათეული წლებია ეს კომპანია მუშაობს. არქეოლოგი ირინა ღამბაშიძე მიიჩნევს, რომ სპეციალური კომისიის დასკვნა, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებისას გურამ ოდიშარია დაეყრდნო, საფუძველსმოკლებულია. ღამბაშიძე საყდრისის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს საერთაშორისო დონის სკანდალს უწოდებს და ყველას, ვინც სამინისტროს გადაწყვეტილებას ემხრობა, ისტორიული მნიშვნელობის უნიკალური ძეგლის განადგურებაში სდებს ბრალს. რატომ მოუხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი საყდრისის ობიექტს ოდიშარიას უწყებამ? თავის დროზე რა მიზნით „გაძეგლდა“ საყდრისი და ამით ვინ იხეირა? რატომ აცხადებენ არქეოლოგები და ტექნიკოსები, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით დათარიღებულ საყდრისის მაღაროში, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება არ დასტურდება? რატომ უკავშირებენ კომპანია „ერ ემ ჯის“ ბოლნისის მაჟორიტარ კობა ნაყოფიას სახელს? რა წერილით მიმართა „ერ ემ ჯის“ ხელმძღვანელობამ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს და რატომ ფიქრობენ კომპანიის წარმომადგენლები, რომ 2006 წელს, საყდრისის ოქროს საბადოს შესახებ მითის შექმნა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო? — კომპანია „ერ ემ ჯის“ მრჩეველი სოსო ცაბაძე სკანდალის გარშემო არსებულ კითხვებსა და ოპონენტთა ბრალდებებს პასუხობს.**

## „ერ ემ ჯის“ მრჩეველი სოსო ცაბაძე ბრალდებებს პასუხობს და კომპანიასთან კობა ნაყოფიას კავშირს კატეგორიულად უარყოფს



**— ბატონო სოსო, ამბობენ, კომპანიამ და ბოლნისის რაიონში ოქროს მოპოვებით დაინტერესებულმა პირებმა, მათ შორის, რაიონის მაჟორიტარმა კომისიაზე, რომლის დასკვნასაც კულტურის მინისტრი დაეყრდნო, ზეგავლენა მოახდინეს.**

— სისულელეა. სამინისტროში არ იყო ერთიანი პოზიცია და გარკვეული მაღალჩინოსნები ირინა ღამბაშიძის აზრს ლობირებდნენ. პირიქით, მათი მხრიდან იყო მცდელობა, ზემოქმედება მოეხდინათ კომისიის წევრებზე. გასაგებიცაა, ზოგიერთები რატომ არიან ასე დაინტერესებულნი საყდრისით — ამ ობიექტის კვლევა „ფოლკსვაგენის ფონდით“ ფინანსდებოდა. 350 ათასი დოლარი უკვე დაიხარჯა და ქალბატონი ირინა არ მალავს, რომ კიდევ ელოდებოდა სოლიდურ გრანტს. ინფორმირებული წყაროებიდან ვიცი, რომ ამჯერად საუბარი, დაახლოებით, 600 ათას დოლარზე იყო. მესმის, ძნელია ამ ფულის დაკარგვა.

**— ისევე, როგორც თქვენთვისაა ძნელი იქ არსებული ოქროს დაკარგვა, რომელიც თქვენი ოპონენტების თქმით, რუსული კომპანიის გავლით, რუსების ხელში ხვდება.**

— ამ სისულელეზე კომენტარს არ გავაკეთებ... ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც იმის მტკიცება, თითქოს ვინმემ კომისიის წევრებზე ზემოქმედება მოახდინა. როგორ შეიძლება ზემოქმედება მოახდინო სანდრო თვალჭრელიძესა და დავით ლომიტაშვილზე? ისინი ცრუ დასკვნის დაწერას არასოდეს იკადრებენ. ისიც წარმოუდგენელია, მათზე, ნაციონალების მუდმივ ოპონენტებზე, რამე გავლენა ჰქონოდა ნაციონალ კობა ნაყოფიას, მით უმეტეს, ეს უკანასკნელი ამ საკითხებში არც ჩარეულა — ინტერესი არ აქვს და ჩვენი კომპანიის სახელიც მას ტყუილად უკავშირდება.

**— ტყუილად როგორ უკავშირდება — კომპანიაში წილიც ჰქონდა, ბოლნისში მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების ნებართვა კი მას შემდეგ მოიპოვეთ, რაც „ერ ემ ჯიმ“ შეიძინა „მადნეული“, რომელსაც თავის დროზე, ნაყოფია ედგა სათავეში.**

— ნაყოფიამ ჩვენი კომპანიის წილი დიდი ხანია გაყიდა და ინტერესი აღარ აქვს. ჩვენთან არ მუშაობს მისი არც ერთი ნათესავი. კომპანიის მფლობელები ტოტალურად შეიცვალა, უბრალოდ, ვიღაცას აწყობს ამ თემის პოლიტიზირება. „ერ ემ ჯი“ ქმნის ბოლნისის ბიუჯეტის 85%-ს, რაიონიდან 3 ათასამდე ადამიანია დასაქმებული და რა გასაკვირია, მაჟორიტარს სურდეს, ამგვარ კომპანიას პრობლემა არ შეექმნას? ესაა და ეს. ნაყოფიას თემა დავხუროთ.

**— ლიცენზიის აღებისთანავე რატომ არ იფიქრა კომპანიის ხელმძღვანელობამ, რომ იქ, სადაც ძეგლი იყო, ოქროს მოპოვება გართულდებოდა? თუ, როგორც ღამბაშიძე ამბობს, თავიდანვე შეგქონდათ ამ ობიექტის უნიკალობაში ეჭვი?**

— არა, ეჭვი არ შეგვიტანია. კომპანიას მფლობელები, როგორც გითხარით, ტოტალურად შეეცვალა. მოსვლის დღიდან შევეგუეთ, რომ დავკარგეთ პირველი, ოქროს შემცველობის თვალსაზრისით, ყველაზე კარგი უბანი და საბადოს დამუშავება დავიწყეთ ობიექტისგან ყველაზე მოშორებულ უბანზე. კომპანიას უნდა გამოემუშავებინა სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, საბადოს ძეგლის დაუზიანებლად, მინიმალური დანაკარგებით განავითარებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიის ინტერესებთან ერთად, რაიონისა და, ზოგადად, სახელმწიფოს ინტერესებიც ზარალდებოდა, საბადოს მიტოვება გარემოზეც უარყოფითად აისახებოდა, რადგან მოქმედი საწარმო, ეკოლოგიური ეფექტურობის თვალსაზრისით, ბევრად მისაღებია, ვიდრე მიტოვებული, უკონტროლო სამთომადნო სამუშაოები. სტრატეგიის შემუშავებისას, დავიწყეთ ძეგლის შესწავლა. ადგილზე მისულმა არქიტექტორებმა, გეოლოგებმა და ტექნოლოგებმა მისი უნიკალობა ეჭვქვეშ დააყენეს. მიუხედავად ამისა, მოცემულობად ავიღეთ, რომ ძეგლია და, რამდენიმე თვის წინ, პრემიერს მივმართეთ წერილით, გადაგვეტანა ძეგლი სხვა ადგილას. თუკი სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს სჭირდება, მსოფლიოში ასეთ პრეცედენტს უშვებენ.

**— ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს სახელმწიფოს კი არა, თქვენი კომპანიის ინტერესებში შედიოდა.**

— 2012 წელს ჩვენს კომპანიაზე უცხოური ინვესტიციების, დაახლოებით, 32% მოდიოდა. ბოლნისის ბიუჯეტის 85% ჩვენგან შეტანილი თანხაა. ამ ობიექტზე კი 700 სამუშაო ადგილი შევქმენით, დასაქმებულების 90% ადგილობრივია. მათი საშუალო ხელფასი 1000 ლარს შეადგენს. თავად განსაზღვრეთ, არის თუ არა ეს სახელმწიფოს ინტერესიც?

**— ძეგლის გადატანას სად გეგმავდით და ამას დაუზიანებლად შეძლებდით?**

— მნიშვნელოვანი ნაწილის გადატანას შევძლებდით, არტეფაქტების დაკარგვას არ ვაპირებდით... გადატანა შეიძლებოდა, მაგალითად, 150-170 მეტრით დაშორებულ გორაკზე, რომელიც იმავე ქანებისგან შედგება. კომპანია მზად იყო, ეს სამუშაოები თავად ჩაეტარებინა. ვაპირებდით, იმ არტეფაქტებისთვის, რომელიც იქვე არ განთავსდებოდა, ბოლნისის მუზეუმში გაგვეზარდა ფართი. გაჩნდა სამთომადნო ისტორიის მუზეუმის შექმნის იდეაც. ალბათ, ამის გამოძახილია, რომ კომისიამ მუზეუმის მშენებლობა დაგვავალა. ეს კომისია კულტურის სამინისტრომ პრემიერის დავალებით შექმნა და მისი შემადგენლობა თავის დროზე არავის გაუპროტესტებია.

**— სამაგიეროდ, დასკვნის გამოქვეყნების მერე გააპროტესტეს — ღამბაშიძემ თქვა, კომპანიას დაქირავებული არქიტექტორები ჰყავს და სასურველ ანგარიშებს აწერინებსო.**

— ნოქალაქევის მუზეუმის დირექტორი, ვინჩესტერის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით ლომიტაშვილი დაწერს არასწორ ანგარიშს? ისე, ირინა ღამბაშიძეცაა ჩვენი კონტრაქტორი. ისიც დაქირავებულია? ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებზე, არც ვიცი, რა პასუხი გავცე. სამაგიეროდ, ვიცი, რა დასკვნა დადო კომისიამ — აღმოჩნდა, რომ თავის დროზე ობიექტი ძალით მოარგეს რაღაც იდეას და ძეგლის სტატუსი კანონდარღვევით მიანიჭეს. გარკვეულ ძეგლებს, 1977 წლის კანონით, „კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ ჰქონდა მინიჭებული ძეგლის სტატუსი. 1999 წელს, ამ კანონის გაუქმების შემდეგ, ამ ობიექტებს ძეგლის სტატუსი მოეხსნა. 2006 წლამდე აღარავის გახსენებია, რომ ისინი, მათ შორის, სვეტიცხოველიც, უსტატუსო იყო. 2006 წელს შეადგინეს ობიექტების სია, რომლებსაც გაუქმებული სტატუსი უნდა აღდგენოდათ. აი, ამ ნუსხაში უკანონოდ შეაპარეს საყდრისიც.

**— 2004 წელს აღმოჩენილი საყდრისი 1999 წელს სტატუსგაუქმებული ობიექტების ნუსხაში ვინ და რა მიზნით შეაპარა?**

— არსებობს ეჭვი, რომელსაც ვიზიარებ — 2007 წელს „ფოლკსვაგენის“ გრანტი გამოიყო. ეს ფაქტი ბევრ რამეს ხსნის, მათ შორის იმასაც, რატომაა ასე დაინტერესებული ამ ობიექტით ირინა ღამბაშიძე. 2009 წლის ანგარიშში, რომელსაც ხელს ქალბატონი ირინა აწერს, ვკითხულობთ, რომ ერთ ადგილზე არქეოლოგთა ჯგუფს ხელს უშლიდა დიდრონი ლოდების ჩამონაყარი, რომლის მოშორებაც აფეთქებით შეძლეს. 2010 წლის ანგარიშში დევს სურათი — ექსკავატორით მუშაობენ ადგილზე. ეს ობიექტი უნიკალური რომც ყოფილიყო, ამის შემდეგ მისი ავთენტურობა დაკარგულია.

**— როგორ მტკიცდება, რომ ძეგლი უნიკალური არ ყოფილა?**

— კანონის, დაახლოებით, 14 პუნქტია დარღვეული — ჯერ უნდა შექმნილიყო არქეოლოგიური დაცვის ზონა, მერე ჩატარებულიყო სამუშაოები, აკადემიის კომისიის წინაშე ჯგუფი მოხსნებით უნდა წარმდგარიყო და ამის შემდეგ უნდა მიენიჭებინა კომისიას ძეგლის სტატუსი. შემდეგ, სამინისტრო გადაწყვეტდა, მას ეროვნული ძეგლის კატეგორიაში გაიყვანდა თუ არა. საყდრისის შემთხვევაში ყველაფერი თავდაყირაა — ობიექტს მარტში მიენიჭა ძეგლის სტატუსი, ივლისში გაახსენდათ, მიენიჭებინათ არქეოლოგიური ზონა და შემდეგ ეროვნული ძეგლის სტატუსი. ყველაფერი ეს მოხდა 4 თვეში. არ არსებობს დოკუმენტები და დასკვნები, რასაც დაეყრდნო კომისია სტატუსის მინიჭებისას.

**— ეს პროცედურული დარღვევებია, ბატონო სოსო, რაც საყდრისის ობიექტის უნიკალობასა და მნიშვნელობას ნამდვილად ვერ აკნინებს.**

— გეთანხმებით, მაგრამ სწორედ ეს პროცედურები განსაზღვრავს ძეგლის რაობას, სტატუსს. ჩნდება ეჭვი, რომ იყო გრანტის მოპოვების შანსი, რის გამოც, ნაჩქარევად, უკანონოდ მიანიჭეს ობიექტს სტატუსი. წარმოდგენილ ანგარიშებში უზუსტობები და, მეტიც, პარადოქსული ფრაზებიცაა. 2004 და 2006 წლების ანგარიშები საერთოდ არ არსებობს არც აკადემიის არქივში, არც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში და არც არქიტექტორ ღამბაშიძეს აქვს. თქვეს, დაიკარგაო... ყველგან ერთდროულად როგორ დაიკარგა, გაუგებარია. 2005 წლის ანგარიში წარმოადგინეს „პდფ“ ფაილის სახით, რომელიც 2013 წლის მაისშია შედგენილი. თქვეს, ხელნაწერის კომპიუტერული ვერსია გაკეთდაო, მაგრამ ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული ხელნაწერი არ არსებობს ისევე, როგორც 2007 წლის ანგარიშისა. ამ უკანასკნელის კომპიუტერულ ვერსიაში კი საინტერესო ფრაზაა: ჩატარდა სამუშაოები, ამის შემდეგ მიღებულ იქნა „ფოლკსვაგენის“ გრანტი, სამუშაოები გაგრძელდა სამ წელიწადს და მათი შედეგები აქვეა მოყვანილი. 2007 წელს წინასწარ რატომ იცოდნენ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სამუშაოები და რა შედეგებით დასრულდებოდა? ბევრი შეუსაბამობა იყო ანგარიშებსა და კვლევების საფუძველზე გამოცემულ მონოგრაფიებს შორისაც. მაგალითად, არსადაა ნახსენები, რომ იქ იპოვეს რუსუდანის მონეტები. ეს რომ თქვან, ობიექტის დათარიღებაში უნდა შეიტანონ ეჭვი, რაც მის „მესვეურებს“ არ აწყობთ ისევე, როგორც იმის აღიარება, რომ ამ არქეოლოგიურ ობიექტზე არავითარი ოქროს მაღარო არ არის. სოციალურ ქსელებში ფოტოებს ავრცელებენ, სადაც ოქროს ლოდები ჩანს, არადა მიკროსკოპშია გადაღებული და მათი ზომა 500 მიკრონია. უხილავი მიკრონაწილაკებია ქანში ჩამჯდარი. დღევანდელი ტექნოლოგიით, ტონაში 4 გრამის მიღება ფანტასტიკაა. გეოლოგებმა და ტექნოლოგებმაც დაამტკიცეს, რომ 5400 წლისწინანდელი ტექნოლოგიით, ამ საბადოდან ოქროს მიღება შეუძლებელი იყო. ამასთანავე, 5400 წლის წინ, საქართველოში ოქროს ნაკეთობა არ არსებობდა. ამბობენ, შუამდინარეთში გაჰქონდათო. პირდაპირი ხაზი რომ გაავლოთ ისტორიული შუამდინარეთის ყველაზე ახლომდებარე პროვინციასთან, 1500 კილომეტრია. ამბობენ, 300-350 წლებში 90-150 კილო ოქრო მოიპოვეს ამ საბადოზეო. 150 კილო ოქრო გაჰქონდათ 1500 კილომეტრზე? ბევრი ასეთი არგუმენტის გათვალისწინებით, კომპეტენტური პირები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აქ ოქროს მოპოვება არ ხდებოდა. სწორედ ამ არგუმენტებს დაეყრდნო კულტურის მინისტრიც, როცა ობიექტს ძეგლის სტატუსი მოუხსნა.

**— თუმცა, ობიექტზე არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსი რჩება, რაც გარკვეული სამუშაოების ჩატარებას ასევე კრძალავს.**

— დიახ, სწორედ ამიტომ ღამბაშიძის ჯგუფს მიეცა ერთი თვე, ამოიღოს ყველა არტეფაქტი. კომპანია მზადაა, ტექნიკურად უზრუნველყოს მათი გადატანა. ასე რომ, იმედია, თვის ბოლოს ეს სკანდალი დასრულდება, არტეფაქტები სამუზეუმო სივრცეში განთავსდება და მათ მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭება. მათი დაცვაც მოხდება და ისე არ იქნება დაყრილი, როგორც აქამდე იყო — დაუნომრავი არტეფაქტები ეყარა გვირაბში, სადაც ცხოველები უამინდობას აფარებდნენ თავს, ხალხი კი, ცეცხლს ანთებდა. მას შემდეგ, რაც ითქვა, იქ ოქროს საბადოა, უამრავი ადამიანი მიდიოდა, ამტვრევდა ქანებს, ეგონა, ოქროს ლოდებს იპოვიდა. ძეგლის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ობიექტზე ბანერი არ განთავსებულა, არც არტეფაქტები დაუნომრავთ... ირინა ღამბაშიძეს აქამდე რატომ არ შესტკიოდა გული და რატომ არ დასვა სამინისტროში ობიექტის დაცვის საკითხი? თუმცა, ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს... მთავარია, ისინი მუზეუმში განთავსდება, კომპანიას კი მალე, ადგილზე ოქროს მოპოვების სამუშაოების წარმოებისა და საბადოს განვითარების საშუალება მიეცემა. ეს იმის საშუალებასაც მოგვცემს, ქვეყანაში დამატებითი, დაახლოებით, 150 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიციები განვახორციელოთ.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# აპოლიტიკური „რთველი 2013“ აგვისტოს ბოლოს დედოფლისწყაროდან დაიწყება

## რას ნიშნავს აგროსესხების ახალი, მეხუთე კომპონენტი და რომელ ბანკებში შეძლებენ ღვინის მწარმოებლები შეღავათიანი სესხების მიღებას



**სოფლის მეურნეობის მინისტრის ინიციატივით, შეღავათიანი აგროსესხების პროექტს მეხუთე კომპონენტიც დაემატა, რომლის ფარგლებში, ღვინის კომპანიებისთვის 15-თვიანი სესხები გაიცემა, სუბსიდიის ბიუჯეტი კი 25 000 000 ლარი იქნება. მეხუთე კომპონენტში მონაწილეობას მხოლოდ 6 ბანკი მიიღებს, სესხების მოცულობა 100 000-დან 1 000 000 ლარამდე იმერყევებს. მეხუთე კომპონენტის აგროსესხებს საქართველოს ბანკი, თი ბი სი ბანკი, „ქართუ“, ვი თი ბი ბანკი, ბაზის ბანკი და პროკრედიტბანკი გასცემენ — ამ ბანკებს ღვინის კომპანიებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. უკვე ცნობილია, რომ ღვინის კომპანიები 100 000-ლარიან სესხს 15%-ად მიიღებენ, 100 000-დან 1 000 000 ლარამდე კი — 14%-ად. იმ შემთხვევაში, თუკი ღვინის კომპანიები 1 000 000-ლარიან კრედიტს აიღებენ, აგროსესხს 13%-ად გაუფორმებენ.**

„რთველი 2013“-ის ფარგლებში, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა, შალვა ფიფიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები და სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამები კახეთის რეგიონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ხელმძღვანელებს, ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლებს, საკრებულოს თავმჯდომარეებსა და სოფლების რწმუნებულებს გააცნეს. შეხვედრის ძირითადი მიზანი მონაწილე მხარეების რთველში აქტიური ჩართულობა, მობილიზება, შტაბის სამუშაო რეჟიმის ამოქმედება, შესაბამისი ფუნქციების გადანაწილება და, რაც მთავარია, ეფექტური საკოორდინაციო-საკომუნიკაციო სისტემის ამოქმედება იყო.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა აღნიშნა, რომ წლევანდელი რთველი გარდამავალი ეტაპი იქნება წარსული პრობლემების დაძლევასა და სექტორის განვითარების მიმართულებით. შალვა ფიფიას განცხადებით, სოფლის მეურნეობა დღეს რეალური პრიორიტეტია, რომლის განვითარებასაც მთავრობა სისტემურად ახორციელებს. „რთველი 2013“ კი ამ სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, **ლევან დავითაშვილის** თქმით, „რთველი 2013“-ის წარმატებით ჩასატარებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო:

**„ინტენსიურად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები ღვინის მწარმოებლებთან, ღვინის ასოციაციის გამგეობის წევრებთან, გლეხებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებთან. არ მოხდება დიფერენცირება მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებულ ყურძენზე — მეწარმეებისა და მცირე ფერმერებისთვის თანაბარი პირობები შეიქმნება. სუბსიდიის პროგრამა ღვინის კომპანიებისთვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე განხორციელდება. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ „რქაწითელსა“ და კახურ „მწვანეზე“ 40 თეთრი, 1 კგ „საფერავის“ შემთხვევაში კი 25 თეთრი იქნება“.**

სოფლის მეურნეობის მინისტრის ინიციატივით, შეღავათიანი აგროსესხების პროექტს, როგორც აღვნიშნეთ, მე-5 კომპონენტი დაემატება და ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის შეღავათიანი სესხები გაიცემა: 15-თვიანი სესხი — 12-15%-ად, აქედან 9%-ს სახელმწიფო დაფარავს. 1 ლარად, ან 1 ლარზე ძვირად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით, შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

„რთველი 2013-ის“ ორგანიზებულად ჩასატარებლად, საკოორდინაციო შტაბი უკვე შეიქმნა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს. შტაბის წევრები კი სოფლის მეურნეობის, ასევე, შს და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები იქნებიან. ამოქმედდება ცხელი ხაზი: (+995 32) 247 01 01; შტაბში იმუშავებს დამატებითი ცხელი ხაზიც — 577 080417; 577 080419. უკვე გადაწყდა, რომ რთველი აგვისტოს ბოლოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან (სამთაწყარო, ფიროსმანი, საბათლო) დაიწყება. 10 სექტემბრიდან კი რთველში ჯერ სიღნაღის, შემდეგ — გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლებიც ჩაერთვებიან.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა გასულ წლებში მეღვინეობის დარგში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა. მისი თქმით, რთვლის პროცესში სახელმწიფო უხეშად ერეოდა, რის გამოც ბაზარზე ყურძნის ფასი ხელოვნურად იზრდებოდა. **შალვა ფიფიას** თქმით, სახელმწიფო კერძო სექტორის კონკურენტის როლში აღმოჩნდა, რამაც ბაზარზე კერძო სექტორის წილი მკვეთრად დასწია:

**„ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის საექსპორტო არეალის გაფართოებამ, ასევე რუსეთში, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებამ, ივლისის მონაცემებით, ექსპორტის 43%-იანი ზრდა განაპირობა, გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამ ფონზე, სახელმწიფოს დახმარება სწორი მექანიზმის შექმნაში გამოიხატება, რაც გლეხს უფრო კონკურენტუნარიანს, წარმოების პროცესს კი — თანამედროვეს გახდის. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას მოხმარდება. ამგვარი მიდგომა ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნას გაზრდის, როგორც შიდა, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. ეს კი ადგილობრივ კომპანიებს საშუალებას მისცემს, გლეხებისგან სულ უფრო მეტი ყურძენი ჩაიბარონ“.**

2014 წლიდან სახელმწიფო აქტიურად იმუშავებს ისეთი პროგრამების განხორციელებაზე, როგორებიცაა: ვენახების ფართობის დადგენა, აღწერა და ვენახების აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა, დარაიონება ჯიშების მიხედვით; ყურძნის რაოდენობისა და წარმოების მასშტაბების განსაზღვრა სხვადასხვა რაიონის მიხედვით, რათა ამ კრიტერიუმებით გამოიკვეთოს ღვინის სახეობები, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული წარმოებაში და რეალიზებული ადგილობრივ ბაზარზე; შიდა კოოპერირება ცალკეული მეურნეობების მიხედვით; ერთობლივი ძალისხმევის ხელშეწყობა მცირე საწარმოების შესაქმნელად და სარეალიზაციო ბაზრებზე გასასვლელად, რის შემდეგაც, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღარ იქნებიან დამოკიდებულნი მსხვილ მეწარმეებზე, სუბსიდირებასა და ფასების ცვალებადობაზე; სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერთა კოოპერატივების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე.

ჟურნალისტური გამოძიება

# „ტრაქტორების საქმის“ დღემდე უცნობი სკანდალური დეტალები

*მე-6 გვერდიდან*

ბრალდებას მტკიცებულებები არ აქვს, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა, მაგრამ რეალურად, არც მოწმეები ასაბუთებენ ბრალდების პოზიციას. კომისია, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა, სათათბირო ორგანო იყო, რომლის გადაწყვეტილებას მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი ჰქონდა... საველე ექსპერიმენტი ივლისის დასაწყისში ჩატარდა. ექსპერიმენტის წინა დღეს, გამომძიებელმა დაგვირეკა და გვითხრა, სართიჭალაში ტარდება ექსპერიმენტი, მოდით და დაესწარითო. ვუთხარით, რომ სპეციალისტები არ ვართ და შესაბამისად, ვერ დავესწრებოდით. გვინდოდა, ექსპერიმენტს, სპეციალისტების გარდა, ექსპერტებიც დასწრებოდნენ. მეორე დღესვე შევიტანეთ წერილობითი შუამდგომლობა ანტიკორუფციულ სამსახურში, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა და პროკურორმა, ყოველგვარი სტანდარტების დაცვის გარეშე, საგამოძიებო ექსპერიმენტი მაინც ჩაატარეს. ამის შემდეგ გამობრძანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და განაცხადა, აბსოლუტური უპირატესობით, ექსპერიმენტში „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორმა გაიმარჯვაო.

**— უკაცრავად, მაგრამ სპეციალისტების გარეშე, გამომძიებელმა და პროკურორმა რა კრიტერიუმებით დაასკვნეს, რომელი ტრაქტორია უკეთესი?**

— ტრაქტორისტები გამოკითხეს და თითქოს დაადგინეს, რომელი იყო უკეთესი! ყველა სათანადო მტკიცებულება და არგუმენტი გვაქვს, რომ ჩვენი პოზიცია დავასაბუთოთ.

**— „ვერსია“ უკვე წერდა, რომ სოფლის მეურნეობის სკანდალური საქმის გამოძიება შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, გელა ხვედელიძემ დაიწყო, შემდეგ ეს საქმე მთავარი პროკურორის მოადგილეს, ლაშა ნაცვლიშვილს გადაეცა, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ამ სკანდალში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილიც ფიგურირებს... მათი მიზანი სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის დისკრედიტაცია იყო?**

— ვერაფერს გეტყვით, რადგან იურისტი ვარ და ამ საქმეში მხოლოდ სამართალდარღვევების აღმოჩენა მევალება. უფლება არ მაქვს, პოლიტიკური განცხადებები გავაკეთო. თქვენს მიერ დასახელებული რომელიმე პირის მიერ სამართალდარღვევის ფაქტი რომ მენახა, ნამდვილად არ მომერიდებოდა და ხმამაღლა ვიტყოდი, მაგრამ ამგვარი რამ არ ყოფილა. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, რა დგას ამ საქმის უკან.

**— თუ პროცესი ობიექტურად წარიმართება, ბრალდებულები უნდა გამართლდნენ, მაგრამ თვენახევრის წინ მითხარით, პროკურატურა წინა ხელისუფლების მეთოდებით მუშაობსო. ამ ფონზე, ბატონო სოსო, იმედოვნებთ, რომ გაიმარჯვებთ?**

— სახელმწიფოებრივი განვითარების დღევანდელი ეტაპი ბრძოლაა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის. მაგალითად, თავის დროზე, ფოტოგრაფების საქმეში მაქსიმალური ძალისხმევითაც კი ვერაფერს მივაღწევდით. ამ საქმეში კი პირიქით, მაქსიმალური ძალისხმევით მივაღწიეთ, რომ ბრალდებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შესაბამისად, მაშინდელ სახელმწიფოსა და ახლანდელს შორის განსხვავება ნამდვილად არის და იმედი მაქვს, ამ პროცესის დასრულების შემდეგ, ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინო გახდება.

**რა არის საჭირო, რომ ორი, სხვადასხვა მარკისა და ტიპის ტრაქტორი საველე პირობებში გამოიცადოს? ვინ უნდა ჩაატაროს ამ ტიპის ექსპერიმენტი და ვინ უნდა გასცეს შესაბამისი დასკვნა? — ამ კითხვებით „ვერსიამ“ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზაზა მახაროზლიძეს მიმართა:**

— ტრაქტორებისა და, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოცდის ჩასატარებლად აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტების დაცვა. იმდენად, რამდენადაც საქართველო გაერთიანებულია ISO სტანდარტების სისტემაში, საქსტანდარტში არის ოფიციალური დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება ტრაქტორების წევითი მახასიათებლების გამოცდა. ექსპერიმენტის ჩატარების უფლება შესაბამის უწყებას აქვს და ესაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ან სპეციალური განათლების მქონე, ტექნიკური დარგის მუშაკები, ვგულისხმობ ტრაქტორების სპეციალობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოცდების სპეციალისტებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი სერტიფიკატები ან გააჩნიათ სათანადო განათლება. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებს, რომლებიც ტრაქტორების სპეციალისტები არიან, სრული უფლება ენიჭებათ, ყოველგვარი სერტიფიკატების გარეშე ჩაატარონ გამოცდა, რადგან დარგის სპეციალისტებად მიიჩნევიან. მნიშვნელობა არ აქვს, საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებენ თუ სამეცნიერო-კვლევითს, ორივე სტანდარტებს ექვემდებარება. ფაქტია, რომ ექსპერიმენტი, რომელიც საგამოძიებო ორგანომ დაგეგმა, პროკურორებმა და გამომძიებლებმა ჩაატარეს, არც ერთ პიროვნებას, რომელიც ამ ექსპერიმენტში მონაწილეობდა, შესაბამისი განათლება არ აქვს, მათ შორის, არც იმ პიროვნებას, რომელმაც მედიას ინტერვიუ მისცა. ვგულისხმობ ვინმე, ადოლ ტყეშელაშვილს, რომელიც განათლებით მემცენარეა. როდესაც ამ ექსპერიმენტის ოქმები და ვიდეომასალები ვნახე, დავრწმუნდი, რომ ეს იყო კონკრეტული პიროვნების პირადი მოსაზრება, რასაც სტანდარტებთან საერთო არაფერი ჰქონდა. სტანდარტში კონკრეტულადაა გაწერილი ყველა მოთხოვნა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ექსპერიმენტს. როცა ამ ტიპის ექსპერიმენტი ტარდება, მინიმუმ, 7-9 პარამეტრი უნდა განისაზღვროს, რაც ტრაქტორის წევის მახასიათებლებად მიიჩნევა. ერთობლიობაში, ყველა ამ პარამეტრის სიდიდე და ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს ტრაქტორის მახასიათებლებს და მხოლოდ ამ ფაქტორების შედარების შემდეგ შეიძლება განისაზღვროს ამა თუ იმ ტექნიკის ვარგისიანობა კონკრეტულ ნიადაგობრივ პირობებთან მიმართებაში. რაც მთავარია, ჩეხური „ზეტორისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ თურქული წარმოების ტრაქტორებს მკვეთრად განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლები ანუ პარამეტრები აქვთ. როგორ შეიძლება, ენერგეტიკულად განსხვავებული, ორი სხვადასხვა სისტემის მახასიათებლების შედარება?

რუსუდან შელია
557-100-768

# თენგიზ ჯგუშია ამხელს

## მართლა ესროლა თუ არა ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, რატომ უწოდებს ლალი ანთიას თაღლითს, რა შესთავაზა მანანა კობახიძესა და ზაქარია ქუცნაშვილს და ვის უშლის ნერვებს ექსდეპუტატის აქტიურობა



**9 აგვისტოს, ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა სასამართლომ 2000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ითქვა, რომ ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაია ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა, მაგრამ თვითონ ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს, გამოუვალი მდგომარეობის განსამუხტად, უბრალოდ, ჰაერში სამჯერ გავისროლეო... ყოფილი დეპუტატი, ამჟამად სამოქალაქო ორგანიზაცია „სამეგრელოს ხმის“ ხელმძღვანელი თენგიზ ჯგუშია „ვერსიასთან“ ინციდენტის სხვა დეტალებს იხსენებს და სამეგრელოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასაც აფასებს.**

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სამოქალაქო მოძრაობა „სამეგრელოს ხმა“ დავაფუძნე, რადგან მიმაჩნია, რომ სამოქალაქო სექტორის გაძლიერების გარეშე, აბსოლუტური ძალაუფლების პირობებში, ნებისმიერი ხელისუფლება ფუჭდება და ირყვნება. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილის განცხადება, ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე ხელისუფლება დასახულ მიზანს ვერ მიაღწევსო. სწორედ ამიტომ, ყოველგვარი დაფინანსებისა და პარტიული მხარდაჭერის გარეშე, სამეგრელოში საკმაოდ ძლიერი სამოქალაქო ორგანიზაცია ჩამოვაყალიბე.

**— ეს გასაგებია, მაგრამ საზოგადოებას თავი სკანდალით შეახსენეთ — 9 აგვისტოს თქვენს წინააღმდეგ საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს რატომ ესროლეთ?**

— ორგანიზაციის შექმნისთანავე ადგილობრივი ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას დავუპირისპირდი. წარმოიდგინეთ, ზუგდიდში სამი კილომეტრის სიგრძის, სასმელი წყლის საკმაოდ ძვირდაღირებული მილები მოიპარეს, რის გამოც სოფლები — რიყე, აბასთუმანი და ლია, სასმელი წყლის გარეშე დარჩა. ძარცვაზე ინფორმაცია დავით ნარმანიას მივაწოდე — მინისტრმა არც კი იცოდა, რომ მისი უწყების ბალანსზე დარიცხული მილები მოპარული იყო. როგორც სოფლის მოსახლეობა ამბობს, მილების მოპარვა „ოცნების“ სახემ, თაღლითმა ლალი ანთიამ დაგეგმა. ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რომ ცენტრალური ხელისუფლება სამეგრელოში ვითარებას ვერ აკონტროლებს — წამყვან პოსტებზე „ქართული ოცნების“ ის აქტივისტები დაინიშნენ, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრულები არიან. მსგავსი შემთხვევები ხელისუფლების რეიტინგზე ნეგატიურად აისახება. სწორედ ამ მიმართულებით აქტიურობა გახდა მიზეზი, რომ ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორება სცადეს.

**— თუკი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი ხართ, დაზარალებულად მერაბ ქვარაია რატომ დასახელდა?**

— არასწორი ინფორმაციაა, დეტალურად გიამბობთ, რვა აგვისტოს რეალურად რაც მოხდა: სოფელ რიყეში, აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცის სულის მოსახსენიებელ პარაკლისზე მიმიწვიეს, სადაც ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაიაც იმყოფებოდა. სხვათა შორის, ეს ადამიანი სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათოდ ფლანგვის გამო, დაკავებული იყო და შვიდწლიანი სასჯელიც მიხადა, რაც მას არაერთხელ შევახსენე. როგორც ჩანს, ამის გამო დაიბოლმა, რაც გარდაცვლილი ჯარისკაცის ტრაპეზზე ამოანთხია. ქვარაია იმდენად დათვრა, რომ რამდენჯერმე შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართა, ვერ მოვითმინე და სილა გავაწანი. ამის შემდეგ იქაურობას გავერიდე და რიყიდან წამოვედი. როცა ჩემს სახლს მივუახლოვდი, შევამჩნიე, რომ მთვრალი ქვარაია, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, გამგეობის სახელმწიფო მანქანით მომდევდა, ამიტომ მანქანა სახლის წინ შეგნებულად არ გავაჩერე და გადავწყვიტე, პოლიციის უახლოეს განყოფილებასთან მივსულიყავი. სამწუხაროდ, დაბნეულობისგან მე და ჩემი მეგობარი ერთ-ერთ ჩიხში აღმოვჩნდით. გამგეობის კუთვნილი მანქანიდან გაავებული ადამიანები გადმოცვივდნენ, რომლებიც გვაგინებდნენ და მოკვლით გვემუქრებოდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი... როგორც პარლამენტის ყოფილ წევრს, რომელსაც იარაღის ტარების უფლება სიცოცხლის ბოლომდე მაქვს, იარაღი თან მქონდა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ჰაერში სამჯერ გავისროლე. ამის შემდეგ ქვარაია და მისი მეგობრები წავიდნენ. აი, ეს არის ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული. სასამართლოზე საკმაოდ ლოგიკური კითხვა დაისვა — რა უნდოდა ღამის საათებში ჩემს სახლთან, ჩიხში გამგეობის მანქანას? საქმე ხულიგნობის მუხლით იყო აღძრული, თუმცა სასამართლომ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და 2000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გამათავისუფლა. კაცმა, რომელიც დღეს ხელისუფლების წარმომადგენელია, პირდაპირ მითხრა, ბევრი რამ გეშლებაო, რაც ჩემთვის პოლიტიკურ დევნასთან ასოცირდება. როგორც ჩანს, სამეგრელოში ჩემი აქტიურობა ბევრს არ აწყობს.

**— თავის დროზე, საკმაოდ აქტიური პოლიტიკოსი იყავით, თუმცა 2004 წლიდან პოლიტიკიდან მოულოდნელად გაქრით. რატომ?**

— 2003 წელს რევოლუციის მომხრე არ ვიყავი, რადგან კარგად ვიცი, რომ რევოლუცია თავის თავს ჭამს. ასე მოხდა ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც. ჩემი პოლიტიკური განწყობის გამო, ნაციონალური მოძრაობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამეკიდა, მაგრამ ათწლიანი პოლიტიკური ცხოვრება ისე განვვლე, რომ უკანონო არაფერი ჩამიდენია, ამიტომ ვერაფერზე მომედავნენ. 2006 წლამდე პოლიტიკისგან თავს ვიკავებდი, რადგან ნაციონალებს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგი ჰქონდათ, ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა არ მინდოდა, თუმცა 2007 წლის მოვლენების შემდეგ, 2008 წლის დასაწყისში პროტესტი გამოკვეთილი ფორმით ჩამომიყალიბდა და წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, კერძოდ, რესპუბლიკურ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატებს მივმართე, სამეგრელოში რიგით თანამებრძოლად მიგულეთ-მეთქი. მათ კი თანამშრომლობაზე უარი მითხრეს. სამეგრელოში ოპოზიცია ყოველთვის სუსტი იყო, საპარლამენტო არჩევნებშიც როლანდ ახალაიას დამარცხება სავსებით რეალური იქნებოდა, ირაკლი ალასანიასა და მის შტაბს საზოგადოებაში შიშის გარდატეხა რომ მოეხერხებინა, თუმცა თავად შტაბის წევრებს ეშინოდათ. პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისითაც, აბსოლუტურად მოუწესრიგებელ კამპანიას ატარებდნენ.

**— ოპოზიციური პარტიებიდან ერთხელ უარყოფილს, ოქტომბრის არჩევნებამდე პროცესებში ჩართვა მეორედ აღარ გიცდიათ?**

— 17 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ციხის კადრები გავრცელდა, სწორედ იმ ქვარაიასთან მივედი, რომელთანაც ცოტა ხნის წინ კონფლიქტი მომივიდა. მაშინ ქვარაია ირაკლი ალასანიას შტაბში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ ციხის კადრები უკვე გასულია და საზოგადოებაშიც ადეკვატური რეაქცია გამოიწვია, სამეგრელოში არჩევნების მოგებას ამ მონაცემებით მაინც ვერ შეძლებთ, მაგრამ ამ ორი კვირის განმავლობაში მდგომარეობის გარღვევა შემიძლია-მეთქი. ქვარაიამ მიპასუხა, ნაციონალები ასი პროცენტით აცდნენ რეალობას და არჩევნებიც მოგებული გვაქვსო ანუ მებრძოლ კაცს, რომელიც ხედავდა, სამეგრელოში ოპოზიცია არჩევნებს აგებდა, უარი მითხრა. დღეს ზუგდიდის გამგებლის მოვალეობას ვინმე თოლორაია ასრულებს, რომელიც ადრე ჩემი რიგითი აქტივისტი იყო, რომელსაც კურიერის ფუნქციის გარდა, სხვა საქმის კეთება, უბრალოდ, არ შეეძლო — მენტალური და ინტელექტუალური შესაძლებლობები ხელს არ უწყობდა. ყალბი დიპლომი აქვს, თოლორაია გამართულად მშობლიურ ენაზეც კი ვერ ლაპარაკობს... შარშან, მარტამდე ეს ადამიანი ნაციონალური მოძრაობის ოფიციალური წევრი და ზაზა გოროზიას თანამშრომელი იყო. ცნობილი თაღლითის, ლალი ანთიას შვილი გამგებლის მოადგილეა, „ოცნების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი კი — კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი ვინმე გოგია, რომელსაც ზუგდიდში ორი ადამიანიც კი არ იცნობს. ის სოფელ რიყის მოსახლეობასთან მივიდა და დაემუქრა, აქციის ჩატარება არ გაბედოთო. ყველაფერ ამის შემდეგ, რაზე უნდა ვისაუბროთ?

**— ამასობაში, მანანა კობახიძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეობის ამბიცია გაქვთ...**

— ნაციონალები და „ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენლების მიზანია, ბიძინა ივანიშვილის გუნდთან დაპირისპირებულ ძალად წარმომაჩინონ. დიახ, მანანა კობახიძეს პარლამენტში ორჯერ შევხვდი და ვუთხარი, ჩემი შესაძლებლობებითა და გუნდით „ქართული ოცნების“ გაძლიერების სურვილი მაქვს-მეთქი. მეგონა, ქალბატონი მანანა კობახიძე იმ დონის პოლიტიკოსი იყო, რომელსაც რეალობისა და ხელოვნურად მიწოდებული დეზინფორმაციის ერთმანეთისაგან გარჩევა შეეძლო. კარგად გამიგეთ, საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში ყველაზე ელიტური პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიყავი და საკმაოდ მაღალ პოზიციებზეც გახლდით. ასე რომ, რიგითი რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა ჩემი ოცნების მწვერვალი ნამდვილად არ არის, დარწმუნებული ვარ, ამაში ეჭვიც არავის ეპარება. მანანა კობახიძეს ორივე შეხვედრაზე ვუთხარი, პოზიციებისა და თანამდებობის დაკავების კუთხით ნულოვანი ამბიცია მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, მაქვს პრეტენზია, ოქტომბრის მონაპოვარი ნებისმიერ ფორმატში დავიცვა-მეთქი. მანანა კობახიძის გარდა, ზაქარია ქუცნაშვილსაც შევხვდი, რომელიც 1997 წლიდან ჩემი თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო — ერთად საკმაოდ გრძელი გზა გავიარეთ და ჩემი ახლო მეგობარია. თუ ის უარყოფს, რომ მთელი ცხოვრება ერთ აზრზე ვიყავით, საქმე, მართლაც, ცუდად ყოფილა.

**— თქვენი მეგობარი ზაქარია ქუცნაშვილი გეთანხმებათ, რომ „ოცნებაში“ ნაციონალებთან გარიგებული და ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირები ერთიანდებიან?**

— არ ვიცი, მაგრამ ზაქარია ქუცნაშვილს ვუთხარი, ძლიერმა ადამიანმა გუნდში ბრძოლის წამოწყება, ხომ შეიძლება, რიგითი წევრის სტატუსითაც შეძლოს-მეთქი, მან კი მიპასუხა, რიგითი წევრი კი არა, შენ იმდენად დიდი შესაძლებლობების მქონე ადამიანი ხარ, პარტიაში საკმაოდ მაღალი სტატუსი უნდა გქონდესო. არ მგონია, ზაქრომ ეს სიტყვები გადათქვას.

## ვერსიანიუსი



### შსს-მ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაკარგული მოქალაქეები იპოვა

შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეინჯერებმა და ახალციხის სამაშველო სამსახურის მაშველებმა ბორჯომ-ხარაგაულის პარკში დაკარგული ოთხი ქართველი და ერთი გერმანელი მოქალაქის ერთობლივი საძიებო-სამაშველო ღონისძიებები განახორციელეს.

16 აგვისტოს, ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნიდან ხუთი მოლაშქრე ბორჯომ-ხარაგაულის პარკის და იქ მდებარე ე.წ. სტამბოლის მთის მოსანახულებლად წავიდა. უკან დაბრუნებისას, ტყეში დაალამდათ და გზის გაკვლევა ვეღარ შეძლეს.

დაკარგულთა ოჯახის წევრები იმავე ღამეს დაუკავშირდნენ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ს და დახმარება ითხოვეს. ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყეს დაკარგული მოლაშქრეების საძიებო სამუშაოები და გათენებისას ხუთივე მათგანს ე.წ. ნახანძრალის ტერიტორიაზე მიაკვლიეს.

მოლაშქრეების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამედიცინო დახმარებას არ საჭიროებენ.

### მერაბ ბლადაძე: „მონსტრი ნაცმოძრობა ივანიშვილმა „ობიექტივის“ დახმარებით დაამარცხა!“



უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს პასუხობს და აცხადებს, რომ 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა კი არა, ივანიშვილმა მედია-კავშირმა „ობიექტივის“ დახმარებით დაამარცხა“.

**„მონსტრი რომ დავამარცხეთ, ეს იყო ივანიშვილის, ხალხისა და „ობიექტივის“ დამსახურება. მე აღარ გავჩუმდები ამდენ უმადურობაზე და თქვენ იბრალეთ და იყავით. სამწუხაროდ, „ოცნება“ ამ „მონსტრის“ ნარჩენებთან კოჰაბიტაციურად ცხოვრობს. ხალხი, მე და ჩემი მეგობრები კი, მედია-კავშირ „ობიექტივს“ ვგულისხმობ, ბრძოლას ისევ ვაგრძელებთ“,** — ამბობს ბლადაძე, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბელგიაში მედია-კავშირ „ობიექტივის“ წარმომადგენელი და ემიგრანტთა ომბუდსმენი იყო. ამასთან, ე.წ. ციხის კადრების ავტორად მიჩნეული ვლადიმერ ბედუკაძე ბრიუსელში თავდაპირველად სწორედ ბლადაძის სახლში ცხოვრობდა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# ივანიშვილის ებრაული ვიზიტის უცნობი დეტალები



ექსკლუზიური ინტერვიუ ისრაელის შს მინისტრის მოადგილესთან

**„ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ქნესეთის (პარლამენტის) წევრ ფაინა კირშენბაუმთან, რომელიც „ობიექტივის“ წამყვანმა სოსო ზაალიშვილმა ჩაწერა.**

— **ქალბატონო ფაინა, რამდენიმე ხნის წინ, ისრაელში ოფიციალური ვიზიტით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იმყოფებოდა, რომელსაც ქნესეთში შეხვდით. თუ საიდუმლო არაა, რაზე ისაუბრეთ?**

— ჩვენს ჯგუფს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ავიგდორ ლიბერმანი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე საქართველო-ისრაელის ურთიერთობის ყველა მნიშვნელოვან საკითხს შევეხეთ. ვისაუბრეთ სოფლის მეურნეობასა და კულტურულ ურთიერთობებზე, ასევე მაღალ ტექნოლოგიებზე... მოგეხსენებათ, ისრაელში საკმაოდ ძლიერი ქართული დიასპორაა და ამ ორი ქვეყნის პარტნიორობა ნამდვილად მნიშვნელოვანია.

შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკაც განვიხილეთ და ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზეც ვისაუბრეთ — დაწყებული ირანიდან, ეგვიპტითა და სირიით დამთავრებული, ეს საკითხი ავიგდორ ლიბერმანმა წამოსწია. პრემიერმა ივანიშვილმა და კომისიის თავმჯდომარე ლიბერმანმა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება მთელი სიგრძე-სიგანით განიხილეს. ლიბერმანმა დეტალურად ახსნა ის მოვლენები, თუ რა ხდება დღეს რეგიონში, რა პროცესები მიმდინარეობს ეგვიპტეში, სირიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ჩვენ ბრწყინვალედ გვესმის, რომ ვიდრე ეგვიპტეში ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება და უბრალო ხალხი იშიმშილებს, ამ ქვეყანაში მუდმივად დესტაბილიზაცია იქნება და ხელისუფლებაშიც შეიძლება, მეტად ექსტრემისტული ძალები მოვიდნენ, რაც რეგიონში მშვიდობას არ მოიტანს.

— **შესაძლებელია, რომ ამ ქვეყნის სამხედროებმა მდგომარეობა დაალაგონ?**

— პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ისრაელს საერთოდ არ სურს ამ საკითხში ჩარევა. ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენები ამ ქვეყნის შიდა საქმეა და ისიც ხალხის გადასაწყვეტია, ვინ მართავს ქვეყანას, თუმცა ისრაელის მთავრობა მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდება და იქ შექმნილი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, გვაღელვებს. ისრაელს ეგვიპტესთან საკმაოდ დიდი საზღვარი აქვს. მართალია, 25 წლის წინ ხელმოწერილი ე.წ. კენტ დევისის ხელშეკრულების თანახმად, ეგვიპტესთან სრულისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულება არ გვაქვს, მაგრამ საზღვრის ამ მონაკვეთზე აქამდე სიმშვიდე იყო, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია თუკი ეგვიპტის ხელისუფლებაში მეტად აგრესიულ-ექსტრემისტული ძალა მოვა, ზემოხსენებულ ხელშეკრულებას, შესაძლოა, გადახედოს. ყველაფერი ეს პირდაპირ უკავშირდება ბოროტების ღერძს, რომელიც ირანში იწყება და სირიაზე გადის — ლივანური შიიტური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლა“ სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ ასადს ღიად უჭერს მხარს. ჩვენ იმ ასეული ათასეული უდანაშაულო ადამიანის ბედიც გვაღელვებს, რომელიც ამ კონფლიქტით გაუბედურდა და ამ დროს საერთაშორისო საზოგადოება დუმს — კონფლიქტმა უკვე ასი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ვცდილობთ, დაჭრილებს დავეხმაროთ, მაგრამ კონფლიქტი გრძელდება, დახმარება კი არ ჩანს.

ყველა ამ თემაზე ვისაუბრეთ ბატონ ივანიშვილთან და, რა თქმა უნდა, ირანის საკითხსაც შევეხეთ, არჩევნების შედეგები განვიხილეთ — მოახდენს თუ არა ეს მომავალზე ზეგავლენას, რა დამოკიდებულება აქვს აშშ-ს; ამასთან, საქართველოს, ისრაელის, აშშ-სა და ევროპის პოზიციებზეც ვისაუბრეთ...

ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რადგან გაირკვა საერთაშორისო ურთიერთობების პრიორიტეტები და ამ ურთიერთობებში საქართველოსა და ისრაელის როლი. იმედია, ეს შეხვედრა ჩვენი ურთიერთობის ახალ ეტაპს ჩაუყრის საფუძველს.

— **სირია ახსენეთ და ხაზი გაუსვით, რომ „ჰესბოლა“ პრეზიდენტ ასადის მხარეს იბრძვის, მაგრამ სირიელი ამბოხებულების მხარესაცაა ძალები, რომელთაც არ შეიძლება, დემოკრატიის მებაირაღეები ეწოდოს. ჩემი აზრით, ისრაელი, ჰომეროსის „ოდისევსის“ არ იყოს, სცილასა და ხარიბდას შორისაა მოქცეული: ერთი მხრივ, „ჰესბოლა“ და მეორე მხრივ „ალ-ყაიდა“...**

— ისრაელი არასოდეს აირჩევს არც ასადს და არც ამბოხებულებს. მნიშვნელოვანი, როგორც ეგვიპტის შემთხვევაში, ჩვენი საზღვრების უსაფრთხოება და სტაბილურობაა. ცოტა ხნის წინ, ისრაელის ტერიტორიაზე შემოჭრას ორი ამბოხებული ეცადა. ისინი უკუაქციეს, მაგრამ ეს სახიფათო ტენდენციაა. სამშვიდობო ძალები ტოვებენ რეგიონს — ავსტრიული ნაწილი გასვლას აპირებს. თუ პროცესი ასე გაგრძელდა, ბუფერული ზონა შემცირდება და სიმშვიდეც რთული დასაცავი გახდება... ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოება ისრაელის ხელისუფლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

— **რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში ბრძანდებოდით. რუს კოლეგებთან სირია-ისრაელის საზღვარზე რუსული სამშვიდობო კონტინგენტის საკითხი განიხილეთ?**

— ამ თემამ რუსეთის პრესაში ხმაური გამოიწვია. ვთქვი, ჩვენ არ გვაქვს პრობლემა არც ერთი ქვეყნის სამშვიდობო კონტინგენტთან, თუ ის სირიის საზღვართან განლაგდება, მაგრამ ეს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად უნდა განხორციელდეს-მეთქი. სამწუხაროდ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება, ამ ტერიტორიაზე თავისი სამშვიდობოები ჩააყენონ. ასე რომ, რუსული კონტინგენტი გამოირიცხება.

— **დაახლოებით ერთი წლის წინ, ისრაელის თავდაცვის ძალებმა ღაზას სექტორში წარმატებული ოპერაცია „ცის სვეტი“ ჩაატარეს და ისრაელის ტერიტორიაზე რაკეტების სროლა შეწყდა. ეგვიპტეში მდგომარეობა იძაბება, ღაზას სექტორი კი ეგვიპტეს ესაზღვრება. ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადა, შესაძლოა, ისრაელს კვლავ მოუწიოს ღაზას სექტორში კონტროლის აღდგენა, რათა თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება უზრუნველყოსო...**

— არ მგონია, ეს ეგვიპტის გამო იყოს ნათქვამი. საქმე ისაა, რომ როცა პალესტინის ადმინისტრაციასა და მის ლიდერთან, აბუ მაზენთან (მაჰმუდ აბასთან) მოლაპარაკებების თემა წამოიწევს ხოლმე, ღაზას სექტორიდან ისრაელის დაბომბვა იწყება. ეს იმის გამო ხდება, რომ ღაზას სექტორი პალესტინის ადმინისტრაციას არ ემორჩილება. ამ ორ ნაწილს ჩვენ „ფათხლენდსა“ და „ჰამასისტანს“ ვეძახით — ერთი მხრიდანაა რამალა, ე.წ. დასავლეთის სანაპირო, რომელსაც პალესტინის ადმინისტრაცია ნაწილობრივ აკონტროლებს, მაგრამ გვაქვს ღაზას სექტორიც, რომელსაც აბუ მაზენი ვერ აკონტროლებს და საკმარისია, მან რაიმე ნაბიჯი გადადგას, რომ ღაზადან დაბომბვა იწყება, რათა დაგვიმტკიცოს, რომ აბუ მაზენი ღაზას სექტორში მცხოვრებ არაბებს არ წარმოადგენს. როდესაც საერთაშორისო საზოგადოება მოუწოდებს ისრაელს, დაიწყოს მოლაპარაკებები, ჩვენ ვსვავთ კითხვას: ვისთან ერთად უნდა დავსხდეთ მოლაპარაკებების მაგიდასთან?! — ადამიანთა ჯგუფთან, რომელიც იმ ხალხს არ წარმოადგენს, ვისი სახელითაც ლაპარაკობს?

რამალაში არჩევნები 3 წლის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ არ ჩატარდა, რადგან პალესტინის ადმინისტრაციამ იცის, რომ დამარცხდება და ხელისუფლებას ჰამასი ან უფრო რადიკალური ჯგუფი ჩაიგდებს. ჩვენ ტერიტორიულ დათმობაზე რომც წავიდეთ, ისინი იტყვიან, ეს ყველაფერი ჩვენია, მაგრამ მოლაპარაკებების შედეგებს არ ეთანხმებიან და მეტი უნდათ.

**– 8 წლის წინ, პრემიერ არიელ შარონის მთავრობამ ღაზას სექტორის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო — ღაზადან გამოიყვანეს როგორც სამხედროები, ასევე ისრაელის მოქალაქეები, ე.წ. მოახალშენეები. ზოგი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. სხვათა აზრით კი, ეს ფაქტი ებრაელი ერის ისტორიაში კიდევ ერთ ტრაგედიად მიიჩნევა, რადგან ამ გადაწყვეტილებამ ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ გააძლიერა. ამ საკითხზე თქვენი აზრი როგორია?**

– ისტორიამ დაამტკიცა, რომ არაფერი შეიცვალა. ოპონენტები ამბობდნენ, ღაზას სექტორში მყოფი ებრაელი მოახალშენეების გამო იბომბება ისრაელის ტერიტორიაო, მაგრამ კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ ასე არ იყო — ღაზას სექტორიდან ისრაელის 20 000 მოქალაქე გამოვიყვანეთ, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, ფერმები, სკოლები და საბავშვო ბაღები, მთელი ინფრასტრუქტურა, რომელსაც იქაური ებრაული მოსახლეობა რუდუნებით აშენებდა. ეს მიწები არაბებს გადაეცათ და რა მივიღეთ?! — ისევ რაკეტები და ჭურვები. ამის გამო მოგვიწია ოპერაცია „ცის სვეტის“ ჩატარება. ჯერ კიდევ გაუგებარია, როგორ განვითარდება მოვლენები — თუ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება და ზეწოლა გაიზრდება, მაშინ ლიბერმანის სიტყვები გამართლდება და მეტი გზა არ დაგვრჩება — ღაზაში დაბრუნება მოგვიწევს, რაც ერთ ჩვენგანსაც არ სურს, არ გვჭირდება არც ღაზას სექტორის ტერიტორია და არც მისი მაცხოვრებლები. ჩვენთვის მთავარი ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების სიმშვიდე და უსაფრთხოებაა.

— **ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოახალშენე რეგიონებს, რომლებიც ე.წ მწვანე ზოლს, ანუ 1967 წლის საზღვრებსგარეთაა განლაგებული სამრეწველო ბოიკოტი გამოუცხადოს. როგორ ფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება ისრაელის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას მოახდენს?**

— ვფიქრობთ, ევროსაბჭოს ეს გადაწყვეტილება ისრაელის შიდასაქმეებში ჩარევის მცდელობაა. სხვის საშინაო საქმეებში ჩვენ არასოდეს ვერევით. ევროსაბჭოს წარმომადგენლები ცდილობენ გვაიძულონ, გადავდგათ ნაბიჯი პალესტინის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებების მიმართულებით. ვფიქრობ, ზეწოლა ისრაელზე კი არა, პალესტინის ადმინისტრაციაზე უნდა განხორციელდეს. ჩვენ მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია გვაქვს, თუ რა საკითხებით მივდივართ მოლაპარაკებებზე. ისრაელი ებრაელთა სახელმწიფოა, ესაა ჩვენი ქვეყნის საზღვრები. გვსურს, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერება, საბოლოო და შეუქცევადი იყოს. ამ ხელშეკრულებით უნდა დასრულდეს კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის და, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს საუბარი იმ არაბების დაბრუნებაზე, რომლებიც 1948 წლამდე წავიდნენ. თუ ეს პუნქტები მიუღებელია, მაშინ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს. სამწუხაროდ, ამერიკელებსაც და ევროპელებსაც ეადვილებათ, აწარმოონ მოლაპარაკებები, რადგან ჩვენი მენტალიტეტი ერთნაირია, არაბებთან საუბარი კი უჭირთ. აქედან გამომდინარე, ზეწოლას ისრაელზე ახდენენ და არა აბუ მაზენზე ან პალესტინის ადმინისტრაციის სხვა რომელიმე ლიდერზე.

— **მას შემდეგ, რაც ისრაელის ხელისუფლებამ „მავი მარმარას“ ინციდენტზე პასუხისმგებლობა აიღო, რომლის შედეგადაც თურქეთის 19 მოქალაქე დაიღუპა, თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აგრძელებს მუქარას ისრაელის მიმართულებით — ხან ღაზას სექტორში ვიზიტით იმუქრება, ხან კი ებრაელ ბიზნესმენებს სდებს ბრალს თურქეთში დაწყებულ სახალხო გამოსვლებში...**

— მისთვის ადვილია, სხვას გადააბრალოს ქვეყანაში არსებული პრობლემები. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, „მავი მარმარას“ ინციდენტის გამო კი არ დაიძაბა ისრაელისა და თურქეთის ურთიერთობა, არამედ ეს ინციდენტი ისრაელისა და თურქეთის ურთიერთობების დაძაბვამ გამოიწვია — ოპერაციის დროს გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს, რომ ეს ხალხი თავს ესხმის ისრაელის ჯარისკაცებს. ამ გემმა დაარღვია არაერთი საერთაშორისო პაქტი თუ ხელშეკრულება, როდესაც მოუახლოვდა ისრაელის საზღვარს. ბოლო დროს თურქეთი ძალიან შეიცვალა — ერდოღანის მთავრობამ შეცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელსაც საფუძველი ქემალ ათა თურქმა ჩაუყარა. თავისუფალი ლიბერალური საზოგადოება იცვლება დახურული ტიპის ისლამური წყობით. სწორედ ამას აპროტესტებს ახალგაზრდობა. ერდოღანს სურს, ისლამურ სამყაროში პოზიციები გაიმყაროს და, ალბათ, ამიტომ უნდა ღაზას სექტორში ჩასვლაც.

# პროფკავშირების პროექტი ახალგაზრდების აგრარულ სექტორში დასაქმებისთვის!







საქართველოში უმუშევრობის პრობლემა, ისევ ქრონიკულ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით კი შრომისუნარიანი მოსახლეობისათვის. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფს შორის ახალგაზრდებში დასაქმების სურვილი ყველაზე მაღალია. სამუშაო ადგილების სიმცირის გარდა, ახალგაზრდებში უმუშევრობას ისიც უწყობს ხელს, რომ დამსაქმებლები ხშირად უფრო გამოცდილ კადრებს ითხოვენ. სამწუხაროდ, ქვეყანაში განათლების დონე როგორც საშუალო, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკმაოდ დაბალია და შესაბამისი გამოცდილების, ცოდნის, კვალიფიკაციის უქონლობის გამო, დამსაქმებლები უარს აცხადებენ ახალგაზრდებისათვის გადამამუშავებელ მრეწველობაში სამსახურის შეთავაზებაზე და უპირატესობას უფრო გამოცდილ კადრებს ანიჭებენ. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ახალგაზრდული ორგანიზაცია „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ მხარდაჭერით კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. პროექტი პილოტური ხასიათისაა და ამჟამად გულისხმობს აგრარულ სექტორში დაახლოებით 500-600 კურსდამთავრებულთა გადამზადებას, სტაჟირება-შეგირდობას.

საქართველოს მასშტაბით უმაღლეს სასწავლებლებში აგრარული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობა დაახლოებით არის 580. თუ გავითვალისწინებთ სტაჟირების სტიპენდიას ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობით 3 თვის მანძილზე, 580 კურსდამთავრებულისათვის: 580*250*3=435 000 (250 ლარი — 3 თვე), 580 * 250 * 4 = 580 000 (250 ლარი 4 თვე), 580*250*6=870 000 ლარი (250 ლარი 6 თვე).

ჩვენი ქვეყნის სამწუხარო რეალობაა ის, რომ ახალგაზრდები დღეს აგრარულ სექტორში კვალიფიციურ პრაქტიკას ვერ გადიან და ამის გამო, მათში ერთგვარი ნიჰილიზმი გაჩნდა. ახალგაზრდების სამუშაო პრაქტიკით, წესით, საკუთრივ უნივერსიტეტები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი და სწორედ უნივერსიტეტებმა უნდა განახორციელონ სტუდენტებში სათანადო პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება, რაც ახალგაზრდებს შემდეგში სამსახურის შოვნაში დაეხმარებათ, თუმცა ამ კუთხით, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი კეთდება.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიცტივა პილოტური ხასიათისაა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ამჟამად პრიორიტეტი ენიჭება აგრარული სექტორის კურსდამთავრებულთათვის საწარმოო პრაქტიკის გავლას (სტაჟირება-შეგირდობა) და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით საქართველოს საწარმოებში სტაჟირების პროგრამის (3-დან 4 თვემდე) დაფინანსებას. ეს კი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასების სუბსიდიების სახით გაცემას ითვალისწინებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისათვის ამ პროექტში მონაწილეობა სავალდებულო, რა თქმა უნდა, არ იქნება და სტაჟირება-შეგირდობა მათი ნებაყოფლობით მოხდება.

პროექტის მიზანია, შემცირდეს უმუშევრობა აგრარული სფეროში დასაქმების მსურველ ახალგაზრდებში და მათი კვალიფიკაციას სხვადასხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენებით ამაღლდეს. მიმდინარე წლის ბიუჯეტი უპრეცედენტოა სოფლის მეურნეობის დარგის მიმართ, გამოყოფილი ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს მისი მასშტაბების გაფართოებას, რომელიც ცხადია, დაკავშირებული იქნება დამატებით შრომის რესურსების მოზიდვასთან.

აღნიშნული ინიციატივა, რომელიც ამ ეტაპზე პილოტურად მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში იქნება გამოყენებული, იმ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს, რომელთაც აგრარული განათლება გააჩნიათ. თუმცა, პროექტი მისი განხორციელების მონიტორინგის დადებითი რეზულტატის შედეგად სხვა დარგებშიც მსგავსი ინიციატივების დანერგვის პრეცედენტს შექმნის, რაც ახალგაზრდების არა მარტო უმუშევრობის პრობლემის რეალურად გადასაჭრელად წინგადადგმული ნაბიჯი გახდება, არამედ იგი ახალგაზრდების გარიყულობის, სიღარიბისა და ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციასაც შეუწყობს ხელს.

აუცილებელია, მომზადდეს პროფესიონალი კადრები, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული პროგრამების შემუშავება საკადრო რეზერვის ფორმირებისა და მომზადებისათვის. საუნივერსიტეტო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული შემდეგი ღონისძიებების ჩასატარებლად:

- რეგიონული ბაზრის შესწავლა.
- კურსდამთავრებული ბაკალავრებისა და მაგისტრების მიწოდება ამავე შესაბამისი პროფილის საწარმოებისათვის.
- შეგირდობის და საწარმოო პრაქტიკის ხელშეწყობა და განვითარება.
- უნდა შემუშავდეს მექანიზმები კურსდამთავრებულთა სამუშაოზე შემდგომი მოწყობის მიზნით.

საქართველოს პროფესიული კავშირების მიზანს შეადგენს საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, სტაჟირების გზით გარკვეული ვადით დასაქმდეს საწარმოებში სუბსიდირების მექანიზმების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობა 1990 წლისთვის 5424.4 ათ. კაცს შეადგენდა, მათ შორის, სოფლის მოსახლეობაზე მთელი მოსახლეობის 44,7% მოდიოდა. 2005 წლისთვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 4317.9 ათასი კაცი და 57.5% შეადგინა. აქ საყურადღებოა შემდეგი ფაქტი:

თუ 1990 წელს ქვეყანაში ადამიანური რესურსების საერთო ოდენობა 3212 ათას კაცს, ანუ მოსახლეობის 59.2 უდრიდა, 2004 წლისთვის მან 2964 ათასი კაცი, ანუ 68,6% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსის საერთო რაოდენობა 1990 წელს სულ 610 ათ. კაცს, ანუ სასოფლო მოსახლეობის 25.1%-ს შეადგენდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ოპტიმალური დონე როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში ძირითადად დამოკიდებული იქნება ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მთავრობის მიერ აქტიური ეკონომიკური (მათ შორის აგრარული) პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ზოგადად შრომაზე ერთობლივი მოთხოვნა, ბუნებრივია, გაიზრდება. ის შესაბამისობაში მოვა რეალურად საჭირო შრომითი რესურსის რაოდენობასთან და სამუშაო ძალით უზრუნველყოფის დონე მის წონასწორულ მდგომარეობას დაუბრუნდება, ანუ აგროსექტორში დარჩება იმდენი მუშახელი, რამდენიც მას რეალურად ესაჭიროება.



# რატომ ჭიანურდება სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძისთვის წართმეული ქონების დაბრუნება

დავით დევიძე
593-219-042

**ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ უკანონობა, რომელსაც ადგილი ნაციონალური მოძრაობის დროს ჰქონდა, თავიდან ბოლომდე გამოძიებული იქნებოდა და სამართლიანობა იზეიმებდა, თუმცა სამართლიანობის აღდგენა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ჭიანურდება, რასაც ცნობილი სახალხო მკურნალის, დომენტი გაგნიძის შემთხვევაც ადასტურებს: მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ ბატონ დომენტის ჩირქი სრულიად უმიზეზოდ მოსცხო, სამართლის დადგენასა და სახალხო მკურნალისთვის დანაკარგის ანაზღაურებას არავინ ცდილობს. შეგახსენებთ: ფინანსურმა პოლიციამ მკურნალს, წინა ხელისუფლების დროს, 1 200 000 ლარი, წამლის ჩამოსასხმელი აპარატურა და მედიკამენტები ჩამოართვა და, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური პოლიციის ქმედება უკანონოდაა აღიარებული, სახალხო მკურნალს წართმეულ ქონებას არ უბრუნებენ.**

ისე, ქონების უკანონოდ წართმევა ყველაზე დიდი დარტყმა არაა, რაც სახალხო მკურნალს მიაყენეს — როგორც კი დომენტი გაგნიძის წამლების ეფექტურობის შესახებ გახდა ცნობილი, მკურნალს ათასობით პაციენტი მიაწყდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნაციონალური ხელისუფლების საკუთრებაში არსებულ სამედიცინო ცენტრებს, ბატონი დომენტის სახით, კონკურენტი გამოუჩნდა. შესაბამისად, ნაციონალები შეეცადნენ, კონტროლირებადი მედიის დახმარებით, სახალხო მკურნალი თაღლითად, მისი წამლები კი, ჯანმრთელობისთვის საშიშად გაესაღებინათ.

შეგახსენებთ, რა მეთოდებს იყენებდა წინა ხელისუფლება დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ:

**ეპიზოდი პირველი** — დედოფლისწყაროში მცხოვრებმა კუპატაძეების ოჯახმა სახალხო მკურნალს ბრალი დასდო, რომ მისი წამლის მიღების შემდეგ ოჯახის უფროსი გარდაიცვალა. ამ ამბავს ვრცელი სიუჟეტი იმჟამად ნაციონალებისგან მართულმა „ტელეიმედმა“ მიუძღვნა და დომენტი გაგნიძე კაცისმკვლელად გამოაცხადა. „ვერსიის“ ჟურნალისტური გამოძიებით კი გაირკვა, რომ ჭირისუფლებს დომენტი გაგნიძესთან პრეტენზია არ ჰქონდათ. პირიქით, ნანობდნენ, სახალხო მკურნალის შესახებ ძალიან გვიან ანუ მხოლოდ მაშინ რომ შეიტყვეს, როცა მკურნალობა შედეგს ვეღარ გამოიღებდა. ამის შესახებ კუპატაძეებმა „იმედის“ ჟურნალისტებსაც უთხრეს, თუმცა ეს სიტყვები სიუჟეტში ვერ მოხვდა და სიკვდილი დომენტი გაგნიძეს დაბრალდა. სიტუაცია იმანაც გაართულა, რომ გარდაცვლილის დედას შვილის ავადმყოფობას უმალავდნენ და როცა დამალვა შეუძლებელი გახდა, ყველაფერი გაგნიძის პრეპარატებს დააბრალეს.

**ეპიზოდი მეორე** — „იმედმა“ სიუჟეტი მოამზადა, რომელშიც საჩხერის რაიონში მცხოვრები ხანშიშესული მანდილოსანი ქმრის საფლავზე ტიროდა და ამბობდა, რომ მისმა მეუღლემ, რომელსაც არაფერი აწუხებდა, დომენტი გაგნიძის წამალი პროფილაქტიკის მიზნით მიიღო, რის შემდეგაც ციროზი დაემართა და ოთხ თვეში გარდაიცვალა. ეს ყველაფერი სიუჟეტში ისე ოსტატურად იყო მოთხრობილი, ქალბატონის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ადამიანს მართლაც გაუჭირდებოდა. თავის დროზე, „ვერსია“ საჩხერეშიც ჩავიდა და გარდაცვლილის მეუღლეს შეხვდა, რომელმაც „იმედის“ ჟურნალისტებს უთხრა, რომ მის მეუღლეს მე-4 სტადიის სიმსივნე ჰქონდა, მკურნალობას შედეგი არ მოჰყვა და გაგნიძის პრეპარატი მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ არსებობდა, თუმცა „იმედმა“ ქალბატონის ნაამბობი დაამონტაჟა და ისე გამოიყვანა, თითქოს ავადმყოფი სწორედ გაგნიძის წამალმა იმსხვერპლა.

მოკლედ, დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ აგორებული „შავი პიარი“ სახალხო მკურნალისთვის სახელის გატეხვას ემსახურებოდა და მიზანს მიაღწიეს კიდეც, მაგრამ ახლა, როცა ამ საქმის შემკვეთები ხელისუფლებაში აღარ არიან, რატომაა იმის აღიარება ძნელი, რომ დომენტი გაგნიძეს, თავის დროზე, უსამართლოდ მოექცნენ? იქნებ, აღიარება კოჰაბიტაციის პრინციპებში არ ჯდება?

დომენტი გაგნიძის მხოლოდ დაუმსახურებლად შებღალული სახელის რეაბილიტაცია კი არა, სახალხო მკურნალის პრეპარატების საფუძვლიანი შესწავლაც უნდა მოხდეს, რითიც, როგორც ბატონი დომენტი ამბობს, მრავალი დაავადების განკურნება იქნება შესაძლებელი, მათ შორის — საქართველოში გავრცელებული C ჰეპატიტის.

„ეს წამალი უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროს ვთხოვ, „გაგენოლსა“ და „დომენტოლს“ ყურადღება მიაქციოს, რომელთა ეფექტურობაზეც პასუხს საკუთარი თავით ვაგებ... საქართველოში



C ჰეპატიტით 2 ათასი ადამიანია დაავადებული და, პირობას გაძლევთ, ჩემი წამლებით ყველა განიკურნება. გამოსცადეთ და თუ ჩემი ნათქვამი სიმართლე არ აღმოჩნდა, როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ — აქ ვარ, არსად გავრბივარ! გამიგეთ: საქართველო უპატრონობით იღუპება, მე კი, მინდა, შვეიცარიასთან გათანაბრებული ქვეყანა ვიყოთ. C ჰეპატიტისგან მამა იერემია განვკურნე — ჩემთან მოსვლამდე მონაცემები შვეიცარიაში გადაგზავნა, სადაც დადასტურდა, რომ ამ დაავადების რთული ფორმა ჰქონდა... ჩემთან მკურნალობა დაიწყო და სრული კურსის გავლის შემდეგ ანალიზები შვეიცარიაში კვლავ გაგზავნა, საიდანაც პასუხი მოუვიდა — აბსოლუტურად განკურნებული ხარო. ეს კაცი „იმედშიც“ მივიდა, ნოდარ მელაძეს ეს საბუთები აჩვენა, მაგრამ სიტყვაც არ ათქმევინეს, რადგან ჯანდაცვის მაშინდელ მესვეურებს ჩემი განადგურება ჰქონდათ განზრახული“, — ამბობს დომენტი გაგნიძე.

ერთი სიტყვით, დომენტი გაგნიძე ითხოვს, მისი პრეპარატები შეისწავლონ და ავკარგიანობაზე ამის შემდეგ იმსჯელონ, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ამის გაკეთებას არ ჩქარობენ. არსებობს ეჭვი, რომ ჯანდაცვის სფეროში ძველი კადრები თავს დღესაც მშვენივრად გრძნობენ. თუკი მართლაც ასეა, მაშინ გასაგებია, რატომაც არავინ ინტერესდება ამ საკითხით. კარგი იქნება, თუკი მედიცინის დღევანდელი თავკაცები დომენტი გაგნიძის საკითხს ობიექტურად შეისწავლიან და ამ ეჭვს გააქარწყლებენ.

დავით დევიძე
593-219-042

**„რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის თავზე, აქტუალური აღარ უნდა იყოს შეკითხვა, ვინ დაიწყო ომი? — ეს ისედაც კარგადაა ცნობილი. დღეს აქტუალური უნდა იყოს სხვა რამ: როგორ გამოვასწოროთ ის შედეგები, რაც ამ ომმა მოგვიტანა? გამოსწორება იმით დავიწყოთ, რომ გასამართლდეს მთავარსარდალი და ის ჯგუფი, რომელიც საბრძოლო ოპერაციების წარმოებაზე იყო პასუხისმგებელი“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას, წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა წიკლაური, რომელიც მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა ამასწინდელი განცხადებით, ამერიკელებმა როკის გვირაბის აფეთქება შემომთავაზესო, უხერხულობა მთელ ქვეყანას შეუქმნა.**

**— როგორ?**

— ქართული მხარე ცხინვალის პროვოკაციებს არ უნდა აჰყოლოდა, მოსახლეობა გამოეყვანა და დაეცალა რეგიონი, თან ყვირილი უნდა დაეწყო, რომ ოლიმპიადის მიმდინარეობისას რუსეთი პროვოკაციებს ახორციელებდა. ამით მივიღებდით ჩვენთვის სასურველ ეფექტს და მოსკოვს აღარ ექნებოდა მიზეზი, კონფლიქტში სამხედრო ძალები ჩაერია, მაგრამ ამის გაკეთება არავინ ისურვა. რუსებმა, შეიძლება, მოვლენათა ასეთი განვითარება გათვალეს და თავი დაიზღვიეს: სააკაშვილს, ბოლო თვეების განმავლობაში, სისტემატურად აგონებდნენ, თუკი ცხინვალში შეიარაღებულ ძალებს შეიყვან, რუსეთი ამაში არ ჩაერევაო. მიშას ასეთი ზომბირება ბიძამისის, თემურ ალასანიას დახმარებით მოხდა... მოკლედ, სააკაშვილმა ყველა სატყუარა გადაყლაპა, რაც კი რუსეთმა გადმოუგდო და თუკი ომის მსვლელობის მისეულ ტაქტიკას გავითვალისწინებთ, პასუხი დოყლაპიობისა და სამშობლოს ღალატისთვის უნდა აგოს!

# „სააკაშვილმა პასუხი დოყლაპიობისა და სამშობლოს ღალატისთვის უნდა აგოს!“



— როცა ადამიანი საკუთარი ტყავის გადასარჩენად ისეთ ტყუილს იგონებს, რომელიც ადვილად გასაშიფრია, ამას ვირეშმაკობა ეწოდება. სააკაშვილი ვირეშმაკობს, როცა პუტინთან საუბრის დეტალებს ამხელს, პუტინმა მითხრა, ევროპამაც და აშშ-მაც დაახვიონ თავიანთი რეზოლუციები და ერთ ადგილზე გაირჭონო. ამით სააკაშვილი ხაზგასმას ცდილობს: ხომ ხედავთ, პუტინს აშშ ეკიდა ფეხებზე და მე რას მიზამდაო, მაგრამ ეს იაფფასიანი ფანდია და სააკაშვილის წინააღმდეგ უფრო მეტყველებს, ვიდრე სასარგებლოდ. ბოლო დროს, ეს კაცი აბსოლუტურად შეურაცხადი გახდა და ისიც კი არ იცის, რა თქვას და რა — არა... თუკი მიხვდა, რომ მოსკოვს აშშ-ევროპა ფეხზე ეკიდა და ასეთი ტონით ლაპარაკობდა, მაშინ უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და არ უნდა წამოგებოდა იმ პროვოკაციას, რამაც საბოლოოდ ომი გამოიწვია, მით უმეტეს, თავადვე განაცხადა, კონდოლიზა რაისმა დეტალურად გამაცნო რუსების გეგმა, რაც შემდეგ ზუსტად ასევე განხორციელდა ანუ ამერიკელებსაც სცოდნიათ, რომ რუსეთი ასეთ პროვოკაციას გეგმავდა, მაგრამ სააკაშვილმა არაფერი გააკეთა, რომ თავიდან აეცილებინა.

**— ისე, ობიექტურები რომ ვიყოთ, პროვოკაციის აცილება ძნელი იქნებოდა.**

— წესით, როცა ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი, პროვოკაციის აცილება ძნელი აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული. ყველაფერი ეს მოსკოვში დაიგეგმა. ომამდე რამდენიმე თვით ადრე, სამაჩაბლოდან გახიზნეს მშვიდობიანი მოსახლეობა. შემდეგ, ცხინვალიდან დაიწყეს სროლები და სააკაშვილი აიძულეს, ცეცხლი გაეხსნა, რითიც ის წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა: თუ ცხინვალიდან გესვრიან, ეს მთელი მსოფლიოსთვის სეპარატისტთა უმნიშვნელო პროვოკაციაა, მაგრამ როცა ჯარი გამოგყავს ამ სროლის საპასუხოდ, ეს მსოფლიოსთვის უკვე ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ნიშნავს ანუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კრემლს ჰქონდა დაგეგმილი. პუტინმა სასწრაფოდ დატოვა პეკინის ოლიმპიადა, საქართველო დაადანაშაულა საერთაშორისო კონვენციის დარღვევაში, რომ ოლიმპიადების დროს ომს არათუ იწყებენ, არამედ, თუ მიმდინარეობს, აჩერებენ და ამით ხელ-ფეხი გაიხსნა საქართველოზე დასარტყმელად. არადა, შეიძლებოდა, ოლიმპიადა ჩვენს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— გავეცანი თქვენს პუბლიკაციებს, სადაც ქართველი ოფიცრები საუბრობენ, რომ არ მიეცათ ბრძოლის წარმოებისა და მტრისთვის საკადრისი პასუხის გაცემის საშუალება. ამაში ბრალი მიუძღვის მთავარსარდალსა და მის უახლოეს გარემოცვას. ყველაფერ ამას, მინდა, ერთი დეტალი დავამატო, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია: აგვისტოს ომში ყველაზე დიდი ზიანი მტრის ავიაციამ მოგვაყენა და რუსულმა ბომბდამშენებმა ქართული არმია, პრაქტიკულად, წელში გატეხეს. ჩვენებმა მტრის მხოლოდ რამდენიმე თვითმფრინავის ჩამოგდება მოახერხეს, ისიც ხელდახელ ბრძოლისას. არადა, შეიძლებოდა უფრო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა: ომამდე კარგა ხნით ადრე შეძენილი გვქონდა საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელსაც შეეძლო საქართველოს საჰაერო სივრცის გაკონტროლება და სწრაფ რეჟიმში ნებისმიერი არასასურველი საფრენი აპარატის ლიკვიდაცია. გაგეცინებათ, როცა გაიგებთ, რომ ეს სისტემები არ გამოიყენეს და ეს გადაწყვეტილება მთავარსარდლობამ მიიღო.

**— რატომ?**

— როცა ამ აპარატურას ჩართავ, გამოსცემს გარკვეულ სიგნალს, რომელიც მტერს საშუალებას აძლევს, გამოითვალოს მისი მდებარეობა და სარაკეტო დარტყმა მიაყენოს. ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს თავდაცვის მთელი სისტემა, თუმცა ამათ ვერ გაბედეს — ამხელა ფული გადავიხადეთ და რომ გაგვინადგურონ, მერე რაღა ვქნათო (?!). შე დალოცვილო, თუ ვერ გამოიყენებ და ოხრად გრჩება, ისედაც განადგურებული არაა?! მოკლედ, იმისთვის, რაც მოხდა, წინასწარ ვიყავით განწირულნი.

**— ვაჟა, სააკაშვილმა განაცხადა, დიკ ჩეინმა მითხრა, როკის გვირაბს დავბომბავთო. ეს რას ნიშნავს?**

— ამას „ჩაშვება“ ჰქვია, მაგრამ სააკაშვილი აქაც ვირეშმაკობს. თუ გახსოვთ, ადრე თქვა, პუტინმა მითხრა, არ გაბედო როკის აფეთქება, თორემ თბილისს დავბომბავო. ახალი განცხადებით კი, უკვე მოსკოვს უგორებს კოჭს, ხომ ხედავთ, ვაშინგტონის სურვილი იყო როკის გვირაბის დაბომბვა, მაგრამ მე ამაზე არ წავედიო ანუ სააკაშვილი პუტინთან საკუთარი დამოკიდებულების შერბილებას ცდილობს. მთლიანობაში კი, მივიღეთ პრეზიდენტი, რომელსაც არც ღირსება აქვს და არც ქვეყნის სიყვარული. იგი მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ზრუნავს.

**— ხსენებულ საკითხზე მედვედევმაც ღია კონტექსტით ისაუბრა და მიანიშნა, რომ ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა ველოდეთ...**

— მედვედევის გამოსვლაში ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა მხოლოდ ცინიზმი დაინახეს. არადა, მედვედევმა საკმაოდ ღია ტექსტით ისაუბრა და დაადასტურა, რომ ცხინვალის დაკავებით რუსეთი იცავდა თავის ეროვნულ ინტერესებს. ახლა ვიკითხოთ, ჩვენ როგორღა ვიცავთ ამ ინტერესებს? ვამბობთ, მედვედევი-პუტინი ცინიკოსები არიანო და ამით მივაღწევთ მიზანს? მოკლედ, ურთულეს მდგომარეობაში ვიმყოფებით და გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს... ერთი სიტყვით, დიდი ბრძოლა გველის... აქვე, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და პატივი მივაგო იმ ბიჭების ხსოვნას, ვინც აგვისტოს ომის დროსა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ოცწლიან ბრძოლაში დაიღუპნენ. მათ ღმერთისგან უდიდესი პატივი ხვდათ: ბრძოლის ველზე გმირულად დაცემა. ღმერთმა აცხონოს მათი სულები!

## ვერსიანიუსი

### გიორგი მარგველაშვილი: „28 ოქტომბერს, გამთენიისას, ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ!“



**„ერთი წლის წინ შევცვალეთ ის, რისი შეცვლაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, დღეს უნდა დავიწყოთ ბრძოლა, რომ ეს ცვლილება იყოს სტაბილური“**, — ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა კუს ტბაზე ახალგაზრდებთან შეხვედრისას განაცხადა.

მარგველაშვილი ახალგაზრდული ორგანიზაციის ღონისძიებას დაესწრო და მათ სიტყვით მიმართა.

**„დღეს უნდა დავიწყოთ ბრძოლა, რომ ცვლილება იყოს სტაბილური და აღარაფერი დაემუქროთ ახალგაზრდებს, მომავალ თაობასა და მათ მომავალს. 28-ში, გამთენიისას, ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ. მე ვიბრძოლებ თქვენთვის და თქვენ იბრძოლეთ ჩემთვის და გავიმარჯვებთ!“** — განაცხადა მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ: საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს გაიმართება.

***„ინტერპრესნიუსი“***

## პოზიცია

# „ეს ხელისუფლებაც რუსეთის აგენტურაა“



ნოდარ ნათაძე პუტინს ჩამოხრჩობას უწინასწარმეტყველებს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**რუსმა სამხედროებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის დიდი ნაწილი სოფელ დიცთან ლითონის ბადით გამიჯნეს. საოკუპაციო ხაზთან არსებულ მძიმე რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე „ვერსია“ „სახალხო ფრონტის“ ლიდერს, ნოდარ ნათაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ნოდარ, როგორ უნდა გავაჩეროთ რუსი, რომელიც მოდის?**

— ეს რუსული პოლიტიკის ტრადიციული თვისებაა — პარტნიორს იქამდე აწვება, ვიდრე წინააღმდეგობას არ გაუწევს, მერე კი ჩერდება. საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია მოიგერიოს, მაგრამ კი ვერ აკეთებს, სწორედაც რომ არ აკეთებს. ჯერ ერთი, ეს ხელისუფლებაც რუსეთის აგენტურას წარმოადგენს და მეორეც, უბრალოდ უვარგისია და მკვეთრი მოძრაობის უნარი არ გააჩნია.

საჭიროა, ზუსტად, დოკუმენტურად აღიწეროს და მსოფლიოს იურიდიულად წარედგინოს, რომ „სამხრეთ ოსეთი“ არ არსებობს და ეს რუსეთის მოგონილი ტერმინია. არსებობს ყოფილი ოლქის საზღვრები, რომელიც 1922 წელს, მისი შექმნისას დადგინდა, მაგრამ ყველაფერი რუსების შეჩიჩხინებით, სადაც კი ოსი ცხოვრობდა, „სამხრეთ ოსეთად“ იწოდებოდა. ახლა რუსეთი სწორედ ამ ტერიტორიებს იკავებს. აი, ეს ძალიან იაფფასიანი ბლეფი საქართველოს ხელისუფლებამ დოკუმენტურად უნდა დააფიქსიროს და მსოფლიოს წინაშე დადოს.

ამასთან, საქართველო ვალდებულია, რუსეთის თავისუფალი შემოტევა, რასაც წინააღმდეგობა არ ეწევა, არათავისუფალ შემოტევად აქციოს, რომელსაც წინააღმდეგობა გაეწევა მოხალისეების საშუალებით — გადმოვიდა რუსი ღობეზე? — უნდა მიხვიდე და უთხრა, მაჩვენე დოკუმენტი, ვინ ხარ და რატომ მოდიხარო. თუ ფორმიანმა წინააღმდეგობა გასწია, ცეცხლი უნდა გაუხსნა და ადგილზე გაანადგურო. თუ დაგასწრო და მან მოგკლა, ორივე შემთხვევაში, ეს იქნება ინციდენტი, რომელსაც რუსეთი ვეღარ გაიმეორებს... ერთი ქართველი, ჩემსავით ბებერი ან მოხალისე უნდა გაიწიროს და ამით საქმე დასრულდება — რუსეთი ამ პოლიტიკას ვეღარ გააგრძელებს... პოკერი ხომ გითამაშიათ და ბლეფიც იცით, რა არის? — რუსეთი ყველაფერ ამით ბლეფობს და გასდის. ეს ბლეფი უნდა ჩაუშალო, დღეს რუსეთს არ აქვს ძალა, რომ მსოფლიოს თუნდაც დიპლომატიური წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ ეს უინციდენტო შემოტევა ინციდენტიან შემოტევად უნდა გადავუქციოთ.

**— ამისთვის მოხალისეები რომ არ გვყავს?**

— როგორ გეკადრებათ. გგონიათ, სულ ცოტა, 5 ათასი ადამიანი არაა მზად იმ ფუნქციისთვის, რაზეც გესაუბრეთ? ამის ორგანიზატორი უნდა იყოს არა, ვთქვათ, საძმაკაცო, არამედ სახელმწიფო.

რუსეთის მხოლოდ ტაქტიკა კი არა, სტრატეგიაც იმაზეა დამყარებული, რომ მისი ძალადობა არ ჩანდეს. არადა, უნდა გამოჩნდეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალით, ომით მოდის. ჩვენ კი არ უნდა გავიქცეთ, უნდა დავდგეთ და გავანადგუროთ. თუ დამასწრო და მომკლა, ეს ინციდენტია, რითიც საქართველო მოიგებს. ეს ადამიანთა და საზოგადოებათა ურთიერთობის ძალიან მარტივი ფორმულა და ლოგიკაა, რომელიც არასოდეს დაინგრევა.

**— საერთაშორისო თანამეგობრობა მუდმივად გვაიმედებს, მაგრამ ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის...**

— საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს ზღაპრულად გვიჭერს. დასავლეთმა თქვა, ეს ტერიტორია ქართულია და ქართულად დარჩებაო. ამის რეალიზება როგორ და რა ფორმით მოხდება, ეს ჩვენზეცაა დამოკიდებული. გვირჩევნია, არ ველოდოთ მესამე მსოფლიო ომის დამთავრებას, რომელიც უკვე დაწყებულია და რომელშიც რუსეთი უთუოდ დამარცხდება, ახლავე უნდა დავაფიქსიროთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფეხქვეშ მიწა იწვის.

ჩვენი რეზერვი მხოლოდ დასავლეთი არაა. რეზერვია ვანკა — რუსეთის მოქალაქე, რომელმაც უნდა დაინახოს, რომ რუსეთი მარცხდება და ამის გამო პუტინი ჩამოახრჩოს. ისე, პუტინს დასჯიან არა როგორც დიქტატორს, არამედ, როგორც დამარცხებულ დიქტატორს!



1. შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე
2. ინდიელთა ფეხსაცმელი
3. ბერსელონას ოპერის თეატრი
4. მიწის იატაკი
5. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
6. რუსეთის ფედერაციის უდიდესი კუნძული
7. ბიბლიური მოსეს ძმა
8. დიდი ზომის ქვეწარმავალი
9. მდინარე დასავლეთ საქართველოში
10. ისრის წვერი
11. მონარქიული ქვეყნების კავშირი
12. ჟან რენოს ნამდვილი სახელი და გვარი
13. უსინათლო გოგონა ნ. დუმბაძის ნაწარმოებში
14. ლენონის ქვრივი იოკო ...
15. შლამის თევზი
16. დაბა სურამის უბანი
17. იტალიის ყოფილი ვალუტა
18. ყოფილი კამერუნელი მეკარე
19. მზის საგალობელი რაჭაში
20. საბავშვო მწერალი ... მღვიმელი
21. თამაშის სეგმენტი ბეისბოლში
22. ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი
23. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში
24. მეორე მუსიკალური ინტერვალი
25. რახმანინოვის ოპერა
26. ჰუნების წინამძღოლი
27. მეჩეთის კოშკი
28. იტალიელი მწერალი უმბერტო ...
29. სიმღერის შესრულების ტრადიციული იტალიური მანერა
30. კოლხი მედეას დედა
31. ერთ-ერთი გამოჩენილი გერმანელი რომანტიკოსი პოეტი
32. მსახიობი ... ჰოფმანი
33. ბალახის ჩრდილი
34. ვარდის „წინაპარი“
35. სანელებელი მცენარე
36. იესო ქრისტეს ნათლია
37. აშშ-ის შტატი
38. პარიზის აეროპორტი
39. „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო მოძრაობის დამაარსებელი
40. ციური სხეულების შემსწავლელი მეცნიერება
41. უკრაინის პრეზიდენტი
42. აღმოსავლური ფლეიტა
43. იაპონური აბანო
44. სამხედრო გემების დიდი შენაერთი
45. ბიბლიური აბრაამის ცოლი
46. ზღვის ვიწრო ყურე მაღალი კლდოვანი ნაპირებით
47. ფრანგი საფეხბურთო მწვრთნელი
48. სახოტბო ლექსი
49. სიმინდის ყვავილედი
50. სვეტებიანი გალერეა
51. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
52. ქართველთა ძველი წარმართული ღვთაება
53. წელიწადის დრო
54. არსენას ბატონის, ბარათაშვილის სახელი
55. ვინი პუჰის ლიტერატურული „მამა“
56. მსახიობი ... კრუზი
57. საეკლესიო ზეთი
58. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი
59. დროის დიდი მონაკ.
60. ლირიკული სიმღერა
61. ყინულზე სასრიალო მსუბუქი ნავი
62. ჩანთა ნანადირევისათვის
63. ზინედინ ზიდანის მეტსახელი
64. ტალღისებური ნაოჭები ქსოვილზე
65. თავაზიანი მიმართვა მამაკაცისადმი ესპანეთში
66. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი
67. ტენი, სისველე
68. საავტომობილო შეჯიბრება
69. პატარა ნაკადული
70. სამი წერტილი კამათელზე
71. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
72. სათათბირო ორგანო საქართველოს პატრიარქთან
73. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი
74. ქართული ხალხური სიმღერა
75. ოთახის დეკორატიული მცენარე
76. ხვადის საპირისპირო სიტყვა
77. ჩიტის სახლი
78. ციხე, სადაც გრაფი მონტე-კრისტო იჯდა
79. წმინდად დაკეპილი ღვიძლისაგან მომზადებული საჭმელი
80. ჭადრაკის ფიგურა
81. როკ-ჯგუფი „... ფლოიდი“
82. ბერძნული ანბანის II ასო



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | | 7 | | |
| | 1 | | 9 | | | 2 | | 6 |
| | | 8 | 2 | | | | | |
| | 5 | 7 | | | 1 | | | 3 |
| | 4 | 3 | | | | 1 | 2 | |
| 2 | | | 5 | | | 6 | 4 | |
| | | | | | 5 | 3 | | |
| 3 | | 6 | | | 2 | | 1 | |
| | | 5 | | 8 | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | | | 7 | | | | |
| | | | | | 6 | 8 | | |
| | | 5 | | 4 | 2 | | | 3 |
| | 4 | 8 | | | 1 | 3 | | |
| | | 6 | | | | 2 | | |
| | | 2 | 4 | | | 6 | 5 | |
| 2 | | | 5 | 1 | | 9 | | |
| | | 4 | 7 | | | | | |
| | | | | 6 | | | 1 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 4 | | | | | |
| | 8 | | | | | | 5 | |
| | 6 | 3 | | 8 | 5 | 1 | | |
| 5 | | 2 | 9 | | 8 | 7 | | |
| | | | | 3 | | | | |
| | | 9 | 6 | | 1 | 5 | | 4 |
| | | 1 | 3 | 5 | | 2 | 8 | |
| | 4 | | | | | | 9 | |
| | | | | | 6 | | | 1 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 8 | 1 | 7 | | | |
| 6 | 8 | | 5 | | | 2 | | |
| | | | | | | | 7 | |
| | | 8 | 4 | 9 | | 3 | | |
| 5 | | | | | | | | 4 |
| | | 4 | | 2 | 6 | 5 | | |
| | 4 | | | | | | | |
| | | 1 | | | 4 | | 5 | 2 |
| | | | 1 | 3 | 9 | | 4 | |



# ჰოროსკოპი
## 19 აგვისტო

***ვერძი*** — წინააღმდეგობებით სავსე დღეა. პირველი ნახევარი, შესაძლოა, წარმატებული აღმოჩნდეს კონტრაქტების გაფორმებისა და საქმიანი მოლაპარაკებისთვის. პარტნიორებთან მნიშვნელოვან საკითხებს წარმატებით მოაგვარებთ, დღის მეორე ნახევარში კი მნიშვნელოვნად დაიკლებს თქვენი სასიცოცხლო ენერგია, იმედგაცრუებას ძნელად გადაიტანთ, ამიტომ სჯობს, ყველა საქმეს შეეშვათ და დაისვენოთ.

***კურო*** — კარი დღეა საქმიანი და შემოქმედებითი აქტიურობისთვის. შესაძლოა, დღეს არავითარ წინააღმდეგობას არ გადააწყდეთ. უსიამოვნო მოვლენები გვერდს ისე აგივლით, ვერც შეამჩნევთ. შეგიძლიათ, დროებით დაივიწყოთ კამათი, გაუგებრობა, განშორება... საღამოს კი საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ ან დრო შინ, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად, ოჯახის შესაქმნელად, წარმატებული იქნება ნებისმიერი გარიგება, თუმცა დღის მეორე ნახევარი, აჯობებს, საკუთარ თავს დაუთმოთ და ჯანმრთელობას მიხედოთ.

***კირჩხიბი*** — წარმატებული დღე იქნება როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. ამ ნიშნის წარმომადგენელ ქალებს ახალი გატაცება ელის, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ თქვენთვის დამახასიათებელმა იდეალიზმმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ პარტნიორის ღირსებებისა თუ ნაკლის სწორად შეფასებაში.

***ლომი*** — დღე განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ. დღის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და შეხვედრა. უფრო მეტი დრო დაუთმეთ ძილსა და დასვენებას.

***ქალწული*** — დღეს შეგიძლიათ უკეთესობისკენ შეცვალოთ მდგომარეობა, კარგი დღეა მსხვილი შენაძენისთვის. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავოთ, რადგან მხოლოდ ასე შეძლებთ მოსალოდნელი კონფლიქტის არიდებას.

***სასწორი*** — ჰარმონიული დღეა, გამოირჩევით ფსიქიკური გაწონასწორებულობით, თამამად დაიწყეთ ნებისმიერი საქმე, რადგან წარმატება გარანტირებული გაქვთ. საღამოს კი, შესაძლოა, მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევის აუცილებლობა გაჩნდეს.

***ღრიანკალი*** — თქვენთვის დღეს შესაძლოა რთული აღმოჩნდეს. დიდია ალბათობა, რომ პროფესიულ სფეროში უფრო მოკრძალებული ადგილი დაიკავოთ, ვიდრე იმსახურებთ. შეიძლება შეგხვდეთ წინააღმდეგობა კარიერაში წინსვლის გზაზე და მიზნის მიღწევაშიც შეგეშალოთ ხელი.

***მშვილდოსანი*** — დღე წარმატებებით სავსე უნდა იყოს: თქვენს ნებისმიერ წამოწყებას შესანიშნავი დასასრული ექნება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, თავს უბედნიერეს ადამიანად იგრძნობთ, ბავშვები კი საკუთარი წარმატებებით გაგახარებენ.

***თხის რქა*** — კარგი დღეა მუშაობისთვისაც და სიყვარულისთვისაც, თუმცა შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგი. თუ რაიმეს ყიდვას გეგმავთ, ჯერ დაფიქრდით, ღირს კი ბევრი ფულის დახარჯვა. დღის პირველ ნახევარში, სჯობს, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, საღამოს კი გართობისა და დასვენებისთვისაც დაგრჩებათ დრო.

***მერწყული*** — დღე წარმატებული იქნება: წინააღმდეგობების, უსიამოვნებების გარეშე, ყველაფერს მიაღწევთ, რასაც დაისახავთ მიზნად, მით უმეტეს, რომ ეფექტურად გამოავლენთ საკუთარ ნიჭს. სავარაუდოა ახალი გატაცება ან მსუბუქი ფლირტი, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციები მოთოკოთ — წამოწყებულმა რომანმა, შესაძლოა, ტკივილი მოგიტანოთ.

***თევზები*** — დღე, შესაძლოა, მძიმე აღმოჩნდეს და იმედგაცრუება მოგიტანოთ, თუკი არ მოძებნით საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გზებსა და მეთოდებს, არ გამოიჩენთ ინიციატივასა და შეუპოვრობას. საღამოს არ არის გამორიცხული, განწყობაც გაგიფუჭდეთ, ამიტომ თუ გექნებათ საშუალება, განმარტოების შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

# ბრაზილიელს თავზე ძროხა დაეცა



ბრაზილიაში, ქალაქ კარატინგას მცხოვრები მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც თავზე ძროხა დაეცა. 45 წლის ჟოან მარია დე სოუზას ეძინა, როცა საბალახოდ გასული ძროხა მისი სახლის სახურავზე ავიდა. ჭერი მოულოდნელად ჩაინგრა და ძროხა მძინარეს თავზე დაეცა. მაშველებმა დაზარალებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ის მიყენებული დაზიანებებისგან, მეორე დღეს გარდაიცვალა. ოფიციალურად სიკვდილის მიზეზად შინაგანი სისხლდენა დასახელდა. ოჯახის წევრები კი დე სოუზას სიკვდილში მედპერსონალს ადანაშაულებენ. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მესამე შემთხვევაა რეგიონში ბოლო სამი წლის განმავლობაში.

# ლოკოკინები კანის გასაახალგაზრდავებლად

იაპონელმა ექსპერტებმა მიაგნეს მეთოდს, რომლის წყალობითაც კანი ყოველთვის ახალგაზრდა იქნება. საიდუმლო კი ლოკოკინების გამოყენებაშია, რომლებიც რეგენერაციის მაღალი უნარით ხასიათდებიან და კანის უჯრედებს აღადგენენ. დღეს ამომავალი მზის ქვეყნის სილამაზის სალონებში მსურველებს ახალ, 60-წუთიან პროცედურას სთავაზობენ ლოკოკინის ლორწოს გამოყენებით, რომელიც კანზე 15 წუთით უნდა გაიჩეროთ სრულ გაშრობა-გახმობამდე და მერე ჩამოიბანოთ. პროცედურის შემდეგ კანი შესამჩნევად იჭიმება, გლუვი და ქორფა ხდება. ლოკოკინის ლორწო შეიცავს პროტეოგლიკანებს — ცილოვან ნაერთებს, რომლისგანაც იქმნება კოლაგენი და ელასტინი.



# მეუღლის ფოტომ თვალი აახილა



დიდ ბრიტანეთში მცხოვრები უსინათლო პენსიონერი სასწაულად განიკურნა, როცა მან გარდაცვლილი მეუღლის ფოტოს აკოცა. 76 წლის ჯორჯ ჰადსპეტს მედიკოსებმა თვალის ბადურის ასაკობრივი დეგენერაცია ათი წლის წინ დაუდგინეს. მას შემდეგ მისი მხედველობა გამუდმებით უარესდებოდა და ერთი წლის წინ საერთოდ დაბრმავდა. მამაკაცი ფიქრობდა, რომ ახლა სიცოცხლის ბოლომდე წყვდიადში დარჩებოდა, მაგრამ როცა ძილის წინ გარდაცვლილი მეუღლის ფოტო აიღო და აკოცა, მოულოდნელად მხედველობა დაუბრუნდა. ჯორჯი იმდენად აღელვებული იყო, რომ დილის 5 საათამდე ტელევიზორს უყურებდა. მინდოდა, მთელი მსოფლიოსთვის გამეგებინებინა, ევერესტზე ავსულიყავი და მეყვირა, რომ ვხედავ, — ამბობს გახარებული პენსიონერი, რომელიც ვერაფრით ხსნის ამ სასწაულს. ახლა პენსიონერის მხედველობა ნორმაშია. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, პაციენტს დიაგნოზი არასწორად დაუსვეს.

# ადამიანებს ბუდეებს უშენებს



აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მცხოვრები ხელოვანი ჯეისონ ფენი, ფრინველების მსგავსად, ბუდეებს აშენებს, მხოლოდ ადამიანებისთვის. ვისაც სურვილი აქვს, ფრინველების ცხოვრებას გაეცნოს და თან ბუნებით დატკბეს, შეუძლია, ჯეისონის ბუდეში შეძვრეს. ფენი ადგილობრივი ტყიდან მოკრეფილი ტოტებისგან ბუდის ფორმის მსგავს „დასასვენებელ კომპლექსს“ ქმნის, სადაც გარკვეული თანხის საფასურად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია სუფთა ჰაერზე, ჩრდილში დაისვენოს. რასაკვირველია, „კომპლექსი“ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ბუდეში კომფორტი არ დაგხვდებათ, იქ მხოლოდ ლეიბია გაშლილი, სადაც დასვენება მზიან ამინდში სჯობს, რადგან თუ წვიმის დროს დასველებისგან ვერაფერი დაგიცავთ. ბუდეს ერთდროულად მხოლოდ 8 ადამიანის დატევა შეუძლია, ჯეისონი კი ყველა ტოტს საგულდაგულოდ ამოწმებს და ბუდის ასაშენებლად, ადამიანების წონისთვის გამძლე, ძლიერ ტოტებს არჩევს.



# ჰოროსკოპი
## 20 აგვისტო

***ვერძი*** — საკმაოდ სასიკეთო და ნაყოფიერი დღეა ვერძებისთვის. შეეცადეთ, გეგმის მიხედვით იმოქმედოთ. გამოვლინდება თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, შეგიძლიათ ნებისმიერი კოლექტივის კარგი ხელმძღვანელი იყოთ. შესანიშნავ ურთიერთობებს ამყარებთ მაღალი თანამდებობის პირებთანაც.

***კურო*** — შემთხვევითმა გატაცებამ, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას იმ ურთიერთობას, რომელიც ძვირფასია თქვენთვის. მცირედი ფულადი დანაკარგიც არაა გამორიცხული... ხარჯის მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებაზე უარს ვერავისეუბნებით.

***ტყუპები*** — დღეს ყველა დაგეგმილი საქმის განხორციელებას ვერ მოახერხებთ და ამას რაც ადრე მიხვდებით, მით მეტ ენერგიას დაზოგავთ. გაითვალისწინეთ, რომ მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. თუ რამის მიღწევა გსურთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს შეძლებენ ვითარების უკეთესობისკენ შემობრუნებას. ამისთვის, პირველ რიგში, მშვიდად უნდა გააანალიზოთ მოვლენები, მოქმედების აბსოლუტურად ახალი გეგმა შეადგინოთ და კომპრომისებზე ნაკლებად იფიქროთ.

***ლომი*** — დღეს წარმატებით გაართმევთ თავს საქმეებს, რაც არ ითხოვს შემოქმედებით მიდგომას, მოაწესრიგებთ დოკუმენტებს და დროს რუტინული პრობლემების მოგვარებას დაუთმობთ, მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება კი არ ღირს.

***ქალწული*** — გეძლევათ შანსი, რაღაც შეცვალოთ პირად ცხოვრებაში, ბოლო მოუღოთ გაუთავებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის იმედი უკვე აღარც გქონდათ. თქვენგან გაბედული და თავზეხელაღებული ნაბიჯია გადასადგმელი. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ნამდვილად მზად ხართ.

***სასწორი*** — დადგა დღე, როცა მარტო თავს გაცილებით უკეთ გრძნობთ, ვიდრე ვიღაცების კამპანიაში. სხვათა შორის, მარტოობაში უკეთ ფიქრობთ, გასააზრებელი კი მართლაც ბევრი გაქვთ. ყველაზე უჩვეულო იდეებიც კი იმსახურებს ყურადღებასა და სერიოზულ განხილვას. დღის მეორე ნახევარში გასეირნება არ გაწყენდათ საყვარელ ადამიანთან ერთად.

***ღრიანკალი*** — დღეს საკუთარი თავის გაკონტროლება საკმაოდ გაგიჭირდებათ. მაგრამ თუ გინდათ, საქმეში წარმატებას მიაღწიოთ, ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ. ადამიანები თქვენგან გაბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ. ნუ გაუცრუებთ მათ იმედს, მაგრამ იმოქმედეთ ღირსეულად და ფრთხილად.

***მშვილდოსანი*** — დღეს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით: არჩევანის გაკეთება მოგიწევთ საკუთარ საქმიან ინტერესებსა და მეგობრების დახმარებას შორის. ძნელი იქნება სულიერი წონასწორობის შენარჩუნება. საღამოს დაძაბულობა მოიხსენით და ცოტა გაერთეთ.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს გაუჭირდებათ ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება, ამიტომ თუ გაქვთ სურვილი, რამე გააკეთოთ, უარი თქვით საზოგადოებაზე. უკიდურეს შემთხვევაში, შეეცადეთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ტელეფონით ან ინტერნეტით მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად, სჯობს, შინ დარჩეთ.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის დღის მთავარი ტენდენცია სასიკეთოა — ის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ცვლილებებს უკავშირდება. გაჩნდება საინტერესო იდეები, გაიჩენთ მოკავშირეებსა და თანამოაზრეებს, დღეს რაღაც სრულიად ახალი გსურთ, თუმცა ამის მისაღებად შრომა მოგიწევთ, ეს არ გაშინებთ.

***თევზები*** — დღეს ყველა ის რჩევა და შენიშვნა გამოიყენეთ, რასაც გარშემომყოფებისგან მიიღებთ. აუცილებელია, რომ გამოიჩინოთ დაინტერესება და აქტიურობა — რაც მეტ კითხვას დასვამთ, მით მეტ სწორ პასუხს მიიღებთ. შეეცადეთ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, დღის მეორე ნახევარში კი შეგიძლიათ დრო სასიამოვნო გარემოში დასვენებას დაუთმოთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 3 | 2 | | 1 | |
| | 5 | | | | | | 2 | |
| 3 | | | 5 | | | 8 | | 6 |
| 6 | | | | | | | 8 | |
| 5 | | | 2 | 1 | 3 | | | 4 |
| | 7 | | | | | | | 3 |
| 2 | | 8 | | | 7 | | | 1 |
| | 6 | | | | | | 5 | |
| | 3 | | 9 | 2 | | | 4 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 1 | | | | | |
| 8 | 5 | | | 4 | | | | |
| 2 | | 7 | | | 8 | | | |
| | 8 | | | 3 | | 7 | | |
| 3 | | 5 | | 8 | | 6 | | 1 |
| | | 6 | | 7 | | | 8 | |
| | | | 2 | | | 9 | | 8 |
| | | | | 9 | | | 7 | 4 |
| | | | | | 7 | | 1 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 2 | | | 5 | 8 | |
| | | | | 1 | 6 | | 2 | |
| | | | | | | | | 6 |
| 8 | | | | | 2 | | 1 | 7 |
| 6 | | | | 7 | | | | 3 |
| 2 | 7 | | 5 | | | | | 8 |
| 1 | | | | | | | | |
| | 4 | | 6 | 3 | | | | |
| | 3 | 8 | | | 7 | 9 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 5 | | | |
| | 5 | | | 7 | | | 2 | 8 |
| | 9 | | 4 | | | | 6 | |
| 5 | 4 | | | | 1 | | | |
| 1 | | | | | | | | 7 |
| | | | 9 | | | | 3 | 1 |
| | 8 | | | | 3 | | 5 | |
| 4 | 6 | | | 1 | | | 9 | |
| | | | 8 | | | | | 4 |

# ჩინოვნიკებს ახალგაზრდა მდივნების დაქირავება აუკრძალეს



ინდონეზიის პროვინცია გორონტალოში, რომელიც კუნძულ სულავესზე მდებარეობს, ჩინოვნიკებს ახალგაზრდა თანაშემწე ქალების სამსახურიდან გათავისუფლება დაავალეს. პირადი მდივნის ვაკანსიაზე კანდიდატურის შერჩევისას მათ უპირატესობა მამაკაცებს ან ასაკოვან ქალბატონებს უნდა მიანიჭონ. ასეთი საკადრო პოლიტიკის გატარების განკარგულება პროვინციის გუბერნატორმა გასცა, გენდერული უთანასწორობის მიზეზად კი ბანალური ადიულტერი დასახელდა. ჩინოვნიკები ახალგაზრდა მდივნებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე საკუთარ ცოლებზე. მათთვის ძვირფასი საჩუქრები ჩამოაქვთ მივლინებებიდან, მეორე ნახევრები კი არც ახსენდებათ, — აცხადებს გუბერნატორი. მისი თქმით, განკარგულებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არ აპირებს იმათ დასჯას, ვინც ახალგაზრდა მომხიბვლელ მდივნებს არ გაათავისუფლებს. თუმცა, გუბერნიის მმართველი დარწმუნებულია, რომ მის რჩევას ყველა გაითვალისწინებს.

# კაცები ქალებზე რომანტიკულები არიან

ასეთია აშშ-ში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები. როგორც გამოკითხვებით გაირკვა, ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ნახევარს შეყვარებია ერთი ნახვით, მშვენიერ სქესში ასეთი გამოკითხულთა მხოლოდ 28% აღმოჩნდა. გამოკვლევისას სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ ადამიანების ნახევარი სასიყვარულო ქსელში ერთ დღეში ეხვევა, პირველ პაემანზე კი ყველაზე საინტერესო სასაუბრო თემად, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, მოგზაურობა მიაჩნიათ. ბედნიერი ურთიერთობების საიდუმლოდ რესპოდენტთა უმრავლესობა საღამოს პაემნებს, ალერსიან მიმართვებსა და... ზურგის მასაჟს მიიჩნევს. გამოკითხვაში მონაწილეობა ამერიკაში მცხოვრებმა 10 ათასმა ადამიანმა მიიღო.



# ევროპის ყველაზე „ბინძური" ღირსშესანიშნაობა



ყოველდღიურად ბლარნის ციხე-დარბაზში, რომელიც ირლანდიის ქალაქ კორკთან ახლოს მდებარეობს, ათასობით ადამიანი მიდის მთელი მსოფლიოდან და ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს — ეამბორონ მჭერმეტყველების სახელგანთქმულ ქვას — ევროპის ყველაზე არაჰიგიენურ ღირსშესანიშნაობას. მილიონობით ადამიანს შეუძლია მოიწონოს თავი, რომ ბლარნის ქვისთვის უკოცნია. ტრადიციულად მიიჩნევა, რომ ეს ობიექტი შოტლანდიის ერთ-ერთი სიმბოლოს — სკუნის ქვის ნაწილია. მეფე რობერტ ბრიუსმა თითქოსდა, ის ირლანდიელ ფეოდალს აჩუქა ინგლისელებთან ბრძოლაში დახმარებისთვის. მჭერმეტყველებასთან მისი დაკავშირება კი XVI საუკუნიდან დაიწყეს, როცა დედოფალმა ელისაბედმა ბლარნიში ნდობით აღჭურვილი პირი გაგზავნა, მისი მფარველობის ქვეშ გადასვლისთვის მოსალაპარაკებლად. ამ ლეგენდის წყალობით, ბლარნის ციხესიმაგრე ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია ირლანდიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირსშესანიშნაობა ყველაზე „ბინძურად" აღიარეს ევროპაში, მაინც ათასობით ადამიანი დგება უზარმაზარ რიგში, რათა მჭერმეტყველების ქვას ეამბოროს და შესაბამისი უნარი შეიძინოს.

# საკუთარ ქორწილშივე დაშორდნენ



ასეთი ინციდენტი სირიაში მოხდა. საქორწინო ცერემონიალი გაყრით დასრულდა, რადგან სიძეს პატარძლის სიმღერა არ მოეწონა. საყვარელი ადამიანისთვის საჩუქარი რომ გაეკეთებინა, ცოლმა მისთვის სახუმარო სიმღერა „მიყვარხარ, ჩემო ვირუკა" შეასრულა. ტექსტის მიხედვით, გოგონა თავის რჩეულს ვირს უწოდებს და ამბობს, რომ ძალიან გაბრაზდება, თუკი მას ამ სახელით სხვაც მიმართავს. გულიანი სიცილითა და სიმღერით პატარძალი სიძისთვის ახალდაქორწინებულების ცეკვას ასრულებდა, თუმცა, ის ისე გაბრაზდა, რომ დიჯეის მიკროფონი გამოგლიჯა და სტუმრების თანდასწრებით სამჯერ წარმოთქვა ტალიკი, რაც „მე შენ გეყრების" ნიშნავს. მუსულმანური ტრადიციით, ეს რიტუალი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ქორწინება გაუქმებულად ჩაითვალოს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 |
| 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 1 | 3 | 6 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 | 7 | 9 | 2 |
| 7 | 3 | 6 | 9 | 2 | 4 | 5 | 1 | 8 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 |
| 6 | 2 | 9 | 4 | 1 | 5 | 8 | 7 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 4 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 |
| 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 3 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 9 | 3 | 8 | 1 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 4 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 |
| 7 | 4 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 6 |
| 2 | 3 | 6 | 1 | 4 | 9 | 8 | 5 | 7 |
| 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 9 | 2 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 9 | 1 | 5 | 7 | 8 | 4 | 2 |
| 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 1 | 7 | 6 |
| 7 | 1 | 8 | 4 | 6 | 2 | 5 | 9 | 3 |
| 4 | 2 | 7 | 8 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 5 |
| 8 | 5 | 3 | 7 | 9 | 6 | 4 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 6 | 7 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 5 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 7 | 6 | 5 | 1 | 3 | 9 | 2 | 8 |
| 3 | 9 | 8 | 2 | 7 | 4 | 6 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 1 | 6 | 5 |
| 7 | 8 | 3 | 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 8 | 3 | 7 | 9 |
| 5 | 4 | 9 | 1 | 3 | 7 | 2 | 8 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 4 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 4 | 7 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 6 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 4 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 8 | 4 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 | 1 | 2 |
| 7 | 1 | 3 | 2 | 8 | 5 | 9 | 4 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 8 | 1 | 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 | 4 | 8 | 6 |
| 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 4 | 3 | 9 | 6 | 8 | 2 | 5 | 7 |
| 2 | 9 | 8 | 1 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 9 | 7 | 6 | 2 | 5 | 3 | 8 | 1 | 4 |
| 4 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 5 | 8 | 4 | 1 | 7 | 6 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 |
| 5 | 4 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 | 6 | 3 |
| 7 | 3 | 2 | 9 | 6 | 8 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 2 | 8 | 7 | 3 | 6 | 1 | 5 | 9 |
| 6 | 9 | 1 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 |
| 3 | 7 | 5 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 4 |
| 2 | 6 | 7 | 5 | 1 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 9 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 6 |
| 8 | 1 | 3 | 6 | 9 | 7 | 4 | 2 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 9 | 1 | 8 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 2 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 7 | 9 | 2 | 4 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 |
| 3 | 1 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 6 | 5 | 8 | 3 | 1 | 9 | 2 | 7 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 3 | 4 | 1 |
| 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 |

მე-13 გვერდი: 1. პედიატრია; 2. კარცერი; 3. პუნქტუაცია; 4. დიადემა; 5. ალაო; 6. ავსტრალია; 7. ცერერა; 8. რაბი; 9. ანკარა; 10. ლივერი; 11. ბაყაყი; 12. სერობა; 13. იტრიუმი; 14. სხვიტორი; 15. ბელტი; 16. ხატა; 17. აცე; 18. რური; 19. კამიუ; 20. დირიჟაბლი; 21. ისინდი; 22. ყავა; 23. მაყარი; 24. ნიუფაუნდლენდი; 25. მაუ; 26. ვარდო; 27. იაზო; 28. რემბო; 29. ბალეტი; 30. ასტრა; 31. არაქსი; 32. ბიენალე; 33. ნაი; 34. ირანი; 35. რუზველტი; 36. ანა; 37. უტოია; 38. რეგი; 39. იარ; 40. ფორტუნატო; 41. არსი; 42. ნანდუ; 43. რაე; 44. მიკადო; 45. მალარმე; 46. ირისი; 47. არზა; 48. აორტა; 49. არენდა; 50. ბატი; 51. მარსო; 52. ბაიტი; 53. ნეი; 54. კეისარი; 55. ბაია; 56. კლასიკა; 57. ვან; 58. კარაოკე; 59. სლენგი; 60. აქტივი; 61. რიკელმე; 62. ლეი; 63. იანკი; 64. რელე; 65. სალტე; 66. ტიტანია; 67. ლოქო; 68. სოდა; 69. ალისა; 70. სიუ; 71. დონ; 72. ნაიადა; 73. ტივი; 74. ადის; 75. ლავა; 76. სადი; 77. ელ; 78. ნუნა; 79. ურნალი; 80. გეკო; 81. ადა; 82. ისლი; 83. კვარცი; 84. იზაი.



1. ტყის ქათამი
2. შიში გახსნილი სივრცის მიმართ
3. წყლის დიდი ვარდისფერი ფრინველი
4. შემოღობილი ადგილი ცხოველებისათვის
5. დარეჯანის მოახლე „კაცია-ადამიანში!?“
6. ერთ-ერთი სამორინე თბილისში
7. ხელოვნური საერთაშ. ენა
8. თავის ტვინის დეგენერაც. დაავადების „ნათლია“
9. ხუროთმოძღვრული ძეგლი ტაოში
10. კარგი მორბენალი ცხენი
11. დანაყოფებიანი მინის ჭურჭელი
12. საქონლის სუფთა წონა
13. ჩარლი ჩაპლინის ბოლო მეუღლე
14. ტოგოს დედაქალაქი
15. სოფლის ავტორიტეტი „ნატვრის ხეში“
16. აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე
17. იგივეა, რაც ზამბახი
18. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
19. „მონანიების“ რეჟისორი
20. ღვთის სადიდებელი შეძახილი იუდაიზმში
21. მდინარე დასავლეთ ევროპაში
22. ზედმეტი, უსარგებლო რამ
23. ღამის ანტონიმი
24. მარადიული ქალაქი
25. იტალიის ავიაკომპანია
26. ძველი სომხური ენა
27. იაპ. მწერალი ქენძაბურო ...
28. სპარსეთის დიდი მეფე
29. აშშ-ის შტატი
30. მწერალი ... მორჩილაძე
31. ინდონეზიის კუთვნილი კუნძული
32. შურისძიების ქალღმერთი
33. იაპონელთა ტრადიც. არაყი
34. კანონის გაუქმება
35. ქალაქი იაპონიაში
36. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
37. მაუგლის გამზრდელი მგელი
38. ამერიკულ;ი ტრილერი
39. საოპერო პარტია
40. ეროვნული საკალათბ. ასოციაცია (შემოკლ.)
41. თმის მცენარეული საღებავი
42. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
43. აღმოსავლური ხორციანი კერძი
44. ანტიკური კავალერია
45. ბასკური ტერორისტ. ორგანიზაცია
46. მთა თბილისთან
47. ვერდის ოპერა
48. ძვ. ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი
49. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
50. ოჯახის დიასახლისი ესპანეთში
51. ქალაქი ბელგიაში
52. იგივეა, რაც მადა
53. კარჩაკეტილი საზოგად. ჯგუფი
54. ზევსის ფარი
55. ინდუსების მოძღვარი
56. ზევსის დედა
57. აპოლონის სადიდებელი ჰიმნი
58. ზრდილობიანი მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
59. თურქულ;ი მაწონი
60. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
61. დროებით გაბატონებული გემოვნება
62. ჭექა-ქუხილის ღმერთი ვედიზმში

# შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# თიხის ძეხვი აფრიკელებისთვის



კვების ექსკლუზიური პროდუქტი — საკვებად ვარგისი მიწა შეგიძლიათ შეიძინოთ ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამის ბაზარში — მხოლოდ აქ ნახავთ თიხის „ძეხვეულობით“ მოვაჭრეებს. ასეთი „დელიკატესი“ ხუთი ამერიკული ცენტი ღირს, თანაც „ძეხვი“ მხოლოდ ტალახი არ არის. ნედლეულს ამ უჩვეულო პროდუქტისთვის ტანზანიის ერთ-ერთი რაიონიდან იღებენ, სადაც მიწა განსაკუთრებით მდიდარია მაგნიუმით, სპილენძით, კალციუმითა და რკინით. მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები არ ურჩევენ მიწის ჭამას, „საკვები თიხით“ ვაჭრობა აქ მაინც პოპულარულია. ადგილობრივები დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი „ძეხვი“ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაეხმარებათ და დაავადებებისგან განკურნავთ.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ.

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.